F 1
7-12 1857



# ცისკარი.

## ქართული

## სალიტერატურო ჟურნალი.

1857

№ 7. ივლისი.

ქ. ტფილისს.

# ქართული

## სალიტერატურო

## ჟურნალი.

რედაკტორი და გამომცემი ივ. კერესელიძე.

«თუ შეიყვარო სმენად, მიითვალო, და უკეთუ მიუპყრა ყური შენი, ბრძენ იქმნე.»
(წიგ. ისო-ზირ. თავი 6. მუხ. 34.)

**1857** წლისა.

წიგნი მეშვიდე.

ი უ ლ ი ს ი.

ქართულის სალიტერატურო ჟურნალის სტამბაში.

ქ. ტფილისს.

## ПЕЧАТАТЬ ПОЗВОЛЯЕТСЯ

съ тѣмъ, чтобы по отпечатаніи представлено было въ Цензурный Комитетъ узаконенное число экземпляровъ, г. Тифлисъ. 7 [illegible] іюня 1857 года. Исправляющій должность Грузинскаго Цензора Св. Алексѣевъ.

# ცისკარი.

## ქართული სალიტერატურო ჟურნალი.

### პოეზია.

### ოდა მღვთისა.

ეჰა შენ ღმერთო! რაზამ ხარ ვჭრცელი,
დასასრულისა არ მქონებელი,
მკჳკრცხლი ნივთებსათ მმჳრელად მყოფელი,
ყოვლად საუკუნო, ღროთა მვლენელი.
უპირო სამთ პირთა შორის ღვთად საც-
ნობელი!

სული ყოვლგან მარტოდ მყებელი;
არ გაქჳს მიზეზი, არც ადგილები,
ვერც სხუანი ამას, ვერც მე მივსწუდები,
ყოვლისავე თჳთ აღმავსები,
მცუელი, მფარუელი, ჰკალად მზადები,
ჩუენ მიერ ღმრთადცა ყე სწოდები!
ოკეანისა სიღრმით განზომა თუცა შეიძლონ,
პლანეტთა სხივნი და ზღჳს ქჳშანი აღცადარიცხონ,

ამის ჴელ-ყოფად ჭაზრით მაღალთა თუცა იკადრონ. —
გარნ შენ სჯომის, მიება ჰოვნა, მაინც ვერა ჰყონ!
ვერც განათლებულთ მათ სულთა გჳამცნონ,
ვერც გონებითა ვჰრცელმან იკადროს,
შენის მსჯავრისა ყოფა იგმაროს:
ფიქრნი უე მათი მისთჳს განაქროს,
გამომწჳლილვლნი შიშმან დააზროს:
ერთს მეუხა შინა გარევან-ჰყაროს.
ჟამადმდე უჟამო ნიჭთებათ, აგებ,
უფსკრულით საუკუნობას გამოიყვანებ;
უწინარეს საუკუნობისა დაცაგვეშბადებ,
თავსაცა თჳსსა თჳთ დააფუძნებ.
თჳთ თავსა თჳსსა შენ შეადგინებ,
შენხარ ნათელი ნათლის მდინები,
თჳთ თავით თჳსით განმაბრწყინები;
ყოველთ ერთ სიტყჳთ დამაფუძნები,
ახლად შექმნილთა განმამრჳლები.
შენ იყავ, შენ ხარ, შენვე იქნები.
არსთა სკჳრელს შენთჳს შორის დამტევნელობ,
მას ცხოველ-ჰყოფ, მას თჳსდავე შემპყრობელობ
დასაბამსა დასასრულთან ურთი-ერთსა შემმერთელობ;
სიკჳდილითა სიცოცხლისა კაცთა მომართ მომნი-
ჭებელობ,
ნაპერწყალებ განბნევითა მიმმართელობ,
ჭჳლა მზსგავსადვე მზისა ნათლის შემშობელობ,
ზამთრის წყულდადს მცხინვარე-ჰყოფ მადარებლობ
მთაფრთა თრთოჳკლთა მშინჳარეთა მაბრწყინველობ,
გარდა-აქცევ, შეცვა არევე მანათებლობ:

გჳალად ვარსკვლავთ ქვეშე შენსა უზღვარსკრულს მყრელობ
მნათნი მთენნი მილიონნად, განუზომლად მომდინარეკნი;
შენთა ჰსჯულთა დაიმარხენ შარავანდით ყჳლა მცა-ხინვარნი.
ესე ცეცხლისა ლამპარნი, ბროლებრ მოწად ბევ-რად გვარნი,
თჳთ ოქროთა მდელვარება, ღუღილითა შემკრებარნი,
ეთერისა სრულად ცეცხლი, სოფლისა მაბრწყინარნი,
შენს წინაშე დაშთებიან, ვითარ ბნელთან დღენი ცხარნი.
ვით მცირე წჳეთი ზღვად შთავარდნილი
შენდა ესრეთ არს ყოველი ქმნილი.
რა არს სოფელი ჩემგან ხილული!
რა ვარ შენ მიერ მეცა შექმნული?
ჰაერის ოკეანესა მილიონნებად განჰფრცნდა სოფელი
ას-გზის სხუანიცა სოფელნი და მეც ამის მჰაზრული,
დაშთების ვითარ იოტა თჳცა მცირედ შემკადრებელი,
ხოლო მე შენდა არა რა, არცა თუ სახმარებელი.
არა რაჲ ვარ! — გარნა ჩემ შორის გამობრწყინდები,
შენის დიდების კაცით გამოკრთი გამოგვიჩნდები;
წყლისა წჳეთშიგან მზეებრივე, მნათობ და გამოს-ჭჳვრდები.
არა რაჲ ვარ! — გარნა ჩემის სიცოცხლით ვჰსცა-ჩჳვრდები,
ფრთეთაზე ზეადფრენითა განუმლომელად ვიშთჳმები:
მასვე ფრენისა მხურჳალი ვჰგიე ვითარცა უქმები.
სიტრფიალოებისა სულითა და სასოებით დავშთები:
გულის-კმის-ყოფით მმეგზნელი მისფიქრით დაცავისჯება

მე თუცაღა ვარ მართლმყოფი, გარნა შენ უფროს მტკიცედები.

ვინათგან შენ ხარ — მეტყუჱს ბუნება,
ამასვე გული, მტკიცედ გონება:
რამეთუ შენ ხარ დ მე არა რა, არს დარწმუნება!
ვარ სოფლისა მცირე ნაწილი, მაქუს ამის ცნობა;
დადგენილ საცნოდ ჰატივსაცემად
მე მის ბუნების საშუალ თემად
სადა შენ კელ-ჰყავ სკეულთა შექმნად,
სადით დაებადენს სულნიცა ზენად,
მათ არსთ კავშირნი ჩემთან ჰყუჱნ შერთუად.
მე ვარ კავშირი მყოთა ყოველგან სოფელთა,
მე ნივთებათა კარასხი უკდურესაც მყოფელთა.
მე საშუალი წერტილი ფშუჱნგიერთა დ ცხოველთა,
სახე სადრმთოსა დაწყების; გუამით მტურად გან-საკრწნელთა;

გულის-კმის-ყოფით ქუხილთ მბრძანები,
მე მეფე — მონა — მემატლი, ღუთად საგონები!
ხოლო ესოდენ საცუჳფროდ მგები,
სადით წარმოვდგე? არავარ მცნობი;
გარნა თჳთ ყოფად ვერა შემძლები.
ვარქმნილი შენი დამბადებელო!
შენის სიბრძნითა ჩემო მყოფელო,
წყაროვ ცხოვრების მადლთ მომფენელო.
სულო სულისა ჩემ მუფლებელო!
სიმართლის შენის სასმრად მჩჳენელო,
ჩემო უკჳდავად მმარხებელო
მოკჳდავთ უფსკრულსა გარდამვლენელო,

სულის ჩემისა სიკუდილით მომსულო,
კუალავ მით სიკუდილით მიმაქცეველო,
მამაო! უკუდავად გარდამქცეველო.
გამოუთქმელ-ხარ მიუწდომელო, ვუწყი რაჲხარ ჩემის სულისა!
აჩრდილის შენის გამომხატუელი ჲ უძლურისა მოგონებისა!
თუცა თანა-ამთ შენთ დიდება, გარნა ვერ შესძლონ მქონთ სუსტთ ენისა,
საჯერად ვერ ჰსთქუან პატივად შენდა; ვერც მოიწიუნენ შენდა მადლისა,
დაცადა-ინთქნენ უზომოსა მას, მდუღრელნი მადლობით თუალთა ცრემლისა.

---

მრავალს ვეცადე უმჯობეს რუსულით გარდმოღებასა,
მაგრამ ვერ ვუძლე სხუა-გუარად, არვის ვთხოვ მისთჳს ქებასა,
არა ვრაცხ ჩემს თავს ჰსწავლულად, ნუვინ ჰყოფთ მოწონებასა,
წარმკითხუელთ მადლუმსთ გამართონ, ვაძლევ ყოველთა ნებასა.

თ. დ. ციციშვილი.

## კ. ნ. ა.

შეხეთ ვინ მოვა, რა არსება, ვით მონარნარებს,
მისმან მშვენებამ განმაცვიფრა, გულს მიმღუღარებს.
თუ ვჰსთქვათ რომ არის ზენით მოსული იგი არსება,
არც თუ მათ შორის შემინიშნავს მისი მსგავსება;
ერთი შეხედეთ მისსა ტანსა, გულის წამტანსა,
საროსებრ აღზრდილს, კვიპაროზსა, წელს წვლი-
ლოვანსა,
თუ ვითა მოაქვს მონაზებით, ვით მოგოგმანობს,
ან ბროლის მკერდით ვით სატიკალ ჰაერს მოაპობს!
სახეს უჭვრიტეთ, განიცადეთ მისი შეუწნება;
მისი სიტურფე, სიკეკლუცე, მოწყობილება,
თვალნი ფიალა, მათი ზეცად ამართულება,
ანგელოზებრ სიმშჳდე და მოკაზმულება...
ისა ფერად ტუჩნი პაწაწა ვით უღვივიან;
მოსშორებით გასაღიმად ვით მზა არიან,
სასაუბროდ ოდეს შეარხევს, სურს აღძრას ენა;
ან თუ ჭიკჭიკით ვით ნაზთ სიტყვებთ აქუსთ პირ-
თვან დენა;
აქეთ და იქით ლოყას ზილფნი ვითა ხვდებიან,
როგორც ცელქობენ, აშიკობენ, ეკონებიან!
ხედავთ ღვაწებზედ, რა ამბები გაჰქონანკავენს?
ამის მნახველი ნეტარ თავს ვინ არ ათაყვანებს!...
ვგონებ-რომ ზენას განგებითა მოუბერია;
ჩვენდა საოცრად ეს არსება მოუვლენია!
შესაძლო არ არს იგი იყოს კაცობრივ ქმნილი!
არა, არ მჯერა თუ რომე არს ადამის შვილი.!!...

როგორ არა ვსთქვათ, ნეტარებით ვით არ ვუყურობდეთ;
მას მიმოსრბოლის შეხედვაზე, ვით არ ვხარობდეთ!
ნეტარ მას ჭაბუკს, ვინც მაზედან არის უძღებით;
ვინცა განცხრება საღმრთოჲსა მლის შეუღლებით.
ქუალად ნეტარ მას, მის სანატრელს უმაწვილო-კა-
ცობას,
ხშირის ხმის სმენით ვინც მიიღებს მისგნით დატკ-
ბობას.
ვინც მას ხშირად დასტრფიალებს, მით აქუს ფონება,
შეხარის, და აქუს თაყვანება, გული ეკონება!....

ივ. კერესელიძე.

(1857 წ. 5 მაისს.)

## თეძნისი.

ვინ არს ესე სრულ თავთირებ მანათა,
ვისგან სწვეთდენ ნამით ვარდთა სადებად,
სვედის მქონეს მომიმატა მან ათი,
მწარის გულით კვამლთა ოხვრა სადებად.
იგი ნათობს ოდეს თვალთა საამოდ,
გულისათვის გარნა წვი არ საამოდ,
ვერ განუძლო გარდიქცევა საამოდ,
მისთა მჭვრეტსა, ექმნას სული სალხობად.
გლახ ენამან წარმოსთქვა რა შურითა,
ეჰა ღმერთო, ესრეთ მნათი შურითა,

მსწრაფელ აპოლლონ მიიწია შურითა,
და განავლო, თავის ფერხთა სადებად.
რა შევიქმენ მე მის ეშხითა სმული,
განმეშორა, მაგლო ლახვარ დასმული,
მოკლედ თავთით სმულის გულის სადებად.

თ. ალ. ჭავჭავაძე.

ქართლოს —

მჳწლოდ 1855 — სა, 4 — 5, და 1856 — სა წელთა.

ღჳაწლით მოსილს ქართლოსსა, მარსის ველს დაბერებულს,
შემდგომ ჟამთა, მტერთ რაზმნი, სცემდნენ, გამა-რტოებულს;
იგერებდა მსცოვანი, ვიდრე მოუძლურებულს,
მტერთ სიმრავლე დასცემდა, — მჳწლს მხედარს, დაწყლულებულს.

იდგა მრავლად მოწყლული, მას ველს, დაფი-ქრებული...
ჯჳლავ დაეხსნენ მტერთ რაზმნი, შეკრთა მოხუცებული;
წარსდგა ბიჯი საჩქაროდ; წარხდა ის დროცა მჳწლი,
და მისცა აქ რუსეთმა მას შეწევნისა ჴელი...

მთელს მსოფლიოს ცნობილი, რუსი — ღჳთივ-დიდებული,

ვის ერთ-მორწმუნეობით, ის ჰყავს, ძმად თჳსებული;
შეუხვია წყლულება, მოხუცს, დამძიმებული;
განამხნო, და კუალაჲ წარსდგა, მან ბიჭი, გაგებული.

ეს მოხუცი, მარსის ველს, კუალავსდგას, განმხნე-
ვებული;
იბრძვის სომხითს და მესხეთს, ჯვარით კელთ მძღუე-
ნუებული;
რუსთა მფარუელობას ქუეშ, ძლევით ამაღლებული;
მოდღევნებულის თავის, კუალად მტკიცედ, მპყრობელი.

იბრძჳს კახეთს და კუხეთს; იბრძჳს კოლხიდას იგი;
იბრძჳს შავის ზღჳს პირზედ; კარს — ბრძავს,
რაზმთა გამრიგი;
მთის კალთებშიაც იბრძჳს; კავკასის ერთ, დამრიგი;
ცრიალებს ყოველს მხარეს; ჰხჳდა, კულავ, ბრძო-
ლისა რიგი.

ვითა ლომი, მყვირალი, ართუ მკრთალი მჩმუნავი,
დაჭრით გამედგრებული, ლეკჳთ დაფარვის მზრუნავი,
ანუ, ვით მთჳრალი სპილო, მომგერები მბრუნავი,
კისკასობს ქართლოს ბრუნავს, ბორგს დელჳაში
მცურავი.

დღეს ქართლოსის ძლევანი გჳაქჳს დიდს გა-
საკჳრუელად.
ფოცხოვას, კადიკლიარს, ჩოლოქს, ზღჳს პირსა,
ხმელად,

უმეტეს ქურუქდარას, ძუელსა გუმრისა ველად;
სხჳაც მრავალნი ძლევანი დაშთებიან მას ძეგლად.

რუსთ და ქართველთ, ამ წელთა, აქ ბრძუეს
მტერთა გმირულად!
ხდვას რიყრაყ ეს მოხუცი ველსა მას მხიარულად;
შუბლი მისი მხცოვანი, კრთოდავს განცისკრებულად!
ჰსჭურეტს, უხარის შჳლთ სიმხნე, მით ჰსჩანს
აღტაცებულად!...

შჳლთა მისთა, ვით მწჳლილი, ბრძოლას მსხუერ-
პლი შესწირეს:
ზოგთა ჴელნი და ფერხნი ზოგნი სულ გახეაბრდეს,
მრავალთ დასთმეს ცოლ-შჳლნი, ზოგთ საზრდო
შეიმცირეს,
ზოგთა თჳთ ტკბილი სული დასდუეს-ზეცას შესმინეს.-

საქართუელო, ღუთის მშობლის, საუფლის
წულოდ, თქმული,
მისთჳს, ჰხამს შეიწოდეს, მას შეავედროს სული!..
ქრისტესთჳს აქ ვინ მოკუდა, იქმნა სისხლ-დანთხეული,
ჩუენ გურწამს, რომ ღუთის წინაშე, იქმნების
ღირსეული.

თ. დ. მაჩაბელი.

ს. თამარაშენი.
ჩყნზ — ს, წელს.

## ბატები. (კრილოვით)

ერთი საწყალი სოფლელი, ქალაქად გაჭრობდს დღესა,
მისდევდა გრძელის ფიჩხითა, ჰრეკდა განსყიდვად ბატებსა;
და რომ ვსთქვათ მართლად, ნამდვილად
ის საცოდავი ბატები
იყვნენ სრულ--პატივაყრილად,—
ზედ ემტვრეოდათ კეტები.—
სადაც ვინ ჰხედავს მოგებას, იქ ბატებს პატივს ვინდა ჰსცემს,
როდესაც ძნელადღა ჰზოგვენ კაცნი განსყიდვად თვით კაცებს.
ამისთვის იგი სოფლელი არცკია გასამტყუნარი;
მარამ სხვა იყო ამაზედ ბატებისგან საუბარი.
ამ დროს გზაზედ ერთსა მგზავრს
უეცრად შეემოეყარნენ,
და იმა სოფლელზედ სამდურავს
ერთბამად ეუბნებოდნენ:
«ჰპოვებენდა ვისმე ამ სოფელს ჩვენ ბატთგან კიდევ უბედურს?
სოფლელი ესე მიგვაფთხობს, ვით უბრალოთა ფრინველთ გუნდს;
ეს უგუნური არა ჰგრძნობს,—
პატივით კმლი შეგვიწყოს,
რომ ჩვენი შთამომავლობა მოგვაქვს იმა ბატებისაგან,

რომელთ ოდესმე დაიხსნეს რომის ქალაქი ცეცხ-
ლისგან;
და ამ გვარ ერთგულებისთჳს რომაელთ ასე პატივ ჰსცეს,
რომ შჳლის-შჳლთა სახსოვრად იქ მათ უქმეცა უწესეს!.
დიახ უცხოა, მარამ თქუენ რითი ისხუავებთ თავებსა?
ჰკითხა მუნ მგზავრმან, და ჰსთხოვა მაზედ პასუხი
ბატებსა.

ბატებმა ასე მიუგეს:
«ერთ გულთა ჩუენთა წინაპართ
რომი დაწვისაგან დაიხსნეს
და პატივი არარა, აქუსთ მათ?»
ეგ წამიკითხავს მსმენია; მარამ მსურს კუალად ცნობაჲ:
თქუენ რაოდენი გ იქმნიათ ქუეყნისთჳს სარგებლობაჲ?
«ჩუენ? არაფერი, არც მცირე!»
მაშ კარგი, ეგეცა კმარა,
რომ ვიქმნა მსაჯული სწორე
და შევსცდე ჰსჯაში აღარა:
წინაპართ ნუღარ ახსენებთ, მათ ვისაც რაჲ მსახურეს,
მაშინვე დიდის პატივით მუნვე სანაცვლოც მიიღეს;
მარამ თქუენ რისთჳს კარგიხართ, ან რისთჳს მოგ-
წონთ თავები?
მხოლოდ ამისთჳს გაჭმევენთ, —ხართ კარგაი შესა-
წუავები!

მინდოდა ესე ზღაპარი
მეთქუა უვრცელეს, უცხადეს;
მარამ მიზეზი ეს არი, —
ვაჲ თუ ეწყინოსთ ბატებს.....

დ. მგალობელოვი.

# რაიმე

## ძალისათჳს მუსიკისა.

შუენიერი მოგონება—მუსიკისა გარმონიისა (ჴმათა-შეწყობისა), რომელი კანჰსწონის სულსა ჩუენსა და აწარმოებს გამოუთქმელთა მოქმედებათა. საღმრთო ესე გარმონია ვნებათა ჩუენთა განაღვიძებს, ერთთან ჰყოფს მოგონებათა და სულსა ჩუენსა აღამაღლებს უმაღლეს ამის სოფლისა და ქუეყანის სფერასა. რაჲსა შინა შეიძლებენ ჰპოვონ შუებას და ნუგეში უბედურნი და სიგლახაკითა დამძიმებულნი? ესე მაცოური ღმერთაჲ არს მეორე მოყუასი მისა. უზომო არს შემძლებელობა და ძალი მისი. საოცრებათაგან ჰპოებს იგი მგრძნობელსა სულსა: აჰა განცხრომა სუსტის დაბადებულისა ცხოვრებისა ამას დღესა შინა... გული შეპყრობილი მწუხარებით და სიგლახაკით დამძიმებული, ისრაელის წარმოსცვალოს სარჩენელი თჳსნი და ბედუკუღმართნი თჳსნი, დჳთაგანთა ბეგართა მისთა ზედა! და შეიძლებს გული მგრძნობელი, რათა არა დაჰსთხიოს ცრემლნი წარმომცვლელმან სიკვდილთა ჟამსა ზედა? მაგრამ რასა უკუე ვიტყჳ? არა! იცნეს, და განკურნებს ზრუნვისა დაუძლურებულის მკერდსა გულსა, მიერ მისსა შემძლებლობასა.

იგი არს აღნთებული ცეცხლი სადნობელსა შინა დამბადებელის ჴელითა, და აღტყინებული მმაგრის ძლითა. ესრეთ კაცი არარის უბედური სრულიად

იგი უქმნის რავდენიამე უღრესთა წამთა ცხოვრე-ბისა თჳსისათა მაცთურსა ამას ღმერთსა. მე უკჱ ვჰსთქჳ მისსა მოქმედებისათჳს, რაჲცა მალუმს ჰყოს კაცსა შორის, უეჭუელოარს, რომელ ჰქონან მას მომაცთურებელნი მოქმედებანი. ყოფილან მაგალითნი, რამეთუ კაცნი გონების მოკლებულნი და სულით დაბნელებულნი არც ბგერსა მისსა შესრულან უმაღლესსა მხიარულებასა შინა და გულისკმა-ყოფანი მათნი აღტყინებულან. და განცხოველებულან მომა-ცთურებელთა კმათა მისთაგან, და შემპყრობელთა განმეორებულთა ბგერათა მიერ და აღმოუკსიესთ სიცოცხლისა და მაცხოვარებითი ნელ-საცხებელი განმკურნებელი მათისა დახსნილის და დაბნელებულისა გონებისა.

უბადრუკ-კნებული, რომელიცა გული მსოფ-ლიოს კმაყოფილებათ უცხო არს, და რომელისაცა სული განწონილ-არს, ესრეთ ვჰსთქვათ მწუხარებით, რომელსა გული შეიწრებულ და დამძიმებულ-არს უბადრუკებითა — ესე კნებული — ესე შესაწყალისი მეჲ ბუნებისა მიმართავს რათამცა შესწიროს კმაჲ ოხუ-რათა თჳსთა ღმერთაებრსა მისსა ბგერასა. უბადრუკო! შენ, რომელიცა ოხურითა ამით დასთხევ ცრემლთა მდი-ნარესა. — შენ, რომელი ვერ შეემთხვევი შეწევნასა სავლოელსა ამას კერძოსა შენსა რაჲსა უკუე გრძნობ მასკამს გულისა შენსა, თჳსსა გამოუთქმელს კმაყოფას — განუცხადებელს ნეტარებას!

ხოლო სადით უკუე მიიღო მაცთურმან ამან ღმერთამან დასაბამი თჳსი?... ვინ არს მიზეზი შე-

ქმნისა მისისა? მეცა პასუხ-ვუგებ: გულის-გმიერითვე დაბადებული კაცი, რომელმანცა სოფელსა თანა ერთად მიიღო შექმნა თჳსი. იუბალ არს პირველი მიზეზი მისი; გარნა მას არა აქვნდა ესრეთი შეწევნა, არცა ესრეთი მომაცთუნებელი ძალი, ვითარცა შემდეგ იგი რავდენთამე საუკუნეთა მოუჴსენილ-იქმნა სრულებასა შინა, და უკანასკნელ სახილველ სრულის მდელვარებით და ძალითა თჳსითა.

ძველადგან მუსიკა შეადგენდა მხოლობით ჰსწავლას. ამისთჳს ვის ძალუძს იწუნებულ-ყოფად მისთა მომაცთუნებელთა მოქმედებათათჳს, ვინ არა მისცემს უპირატესობას წინაშე მაღალთა აღმატებულესობათასა? გარნა ვინ იტყვის: რაჲამს მჳრთასობდეს იგი უბადრუკებისათჳს; ძალუძს მას მსახურის საშ-ჳებლადცა, და შეუძლებს რათამცა აღუმსუბუქოს მწუხარებით მოწყლული გული მისი....

ხოლო კაცსა ზედა ბედნიერების ნიჭით მოფენილსა და ბუნების მოუჴსარესა, არა აქვს ძალი და შეწევნა ესრეთი თჳალთა შინა მისთა.... არა! ძალი ყოველთა ზედა თანას-წორმოქმედებს. მოაუჴსენე კაცა გულქვა და კაცაცა მგრძნობელი — მაშინ იხილავთ მისსა მოქმედებასა. — გამოცდილება კაცისათჳს არს უმჯობესისა მოძღუარი!....

## კეთილ-მოქმედება.
### მოთხრობა აღმოსავლეთისა.

მით ჟამით ვითარცა მახსოვს, შემემთხჳენ ფერია

მრავალნი ჰამბავნი და ცრემლდენანიცა — ფერი თმისა ჩემისა დაჭკნარა ჭაღარამან, ვითარცა ფერმან უჟუნ-ხამან, განმაშუქნებელმან ფიდიაჭჲს წარკოტისამან; მათ დროთ ვჭვრეტობდი მე, და ვგრძნობდი რომელ დაუსრულებელმან მფლობელმან სხვა ჟუწნისამან, რომელმანცა შექმნა კაცი კეთილ-მოქმედებისათვს, წარმომიდგინა იგივე გრძნობაჲ, რამეთუ არა რომე-ლსამე გულსა — მალუვს, რათა არა მყვაა ჩუეულ-იყოს თვნიერ კეთილის-საქმისა; და რამეთუ არა ვითარმე კეთილი ქმედა შეუძლებელ არს დამთეს დაუვიწყე-ლოებულად! ისმინეთ, ძენო აღამისანო! ისმინეთ ჭეშ-მარიტი ჩემი მოთხრობაჲ:

ერთს ნაყოფიერს დღეს, რომელსა განყოფს ჟრაბის ჩქერგი მთისა, არა არს დიდი ხანი, რა-მეთუ ცხოვრებდა აქა მოხუცებული და ბედნიერი მწყემსი; მე ვიცნობდი მწყემსსა მას. — იყო იგი ბედნიერ..... ვინათგან გული მისი იყო თავს-მდებ სათნოებისა მისისა — რაჟამს მწუხარისასა, მარადის შეექცეოდა მიწქეფარს წყაროს კიდესათანა, რომელსა ზედა აღმოსრულ-იყვნენ ვითარცა გმირნი, კპირა-ნაძუვნი ჩეჭნი და ჭვპარონი, და თვთ ფესუთამდე ჭვარვიდნენ მწუხნენი რტონი მათნი. ერთს დღეს შემქცევსა ადგილთა მას, ესმა შორით მწუხარებისა ჴმაჲ, რომლისაცა განგრძელებულს ბგერასა მას განმეორებულ-ჰყოფდნენ ფართოსა სიღრმესა მას დე-ლისასა. მოხუცმან მწყემსმან მიმართა ყურთსა მის, საიდითცა ესმა მას ხმაჲ იგი; მან ჰპოვა იხილა ყრმა ჭაბუკი, მჯდომარე მთის ძირს ქვასა ზედა. სამო-

სჳლი მისი თჳთ დაჴუნკული, თმანი აღრეული მკრთა-ლსა და უსახურ-ქმნილსა პირსა ზედა მისსა. შუე-ნიერება ჭაბუკისა მის ძლით შეჰწნაებულ იქმნებოდა, ღაწუნი მისნი გამოაჩინებდნენ კუალსა მსხურვალთა ცრემლთასა; თავი მისი მოუძლურებული ბუღთანა მოხრილოდა, ხოლო თჳთ ემსგავსებოდა შუენიერს ვარდსა, მძაფრის ქარისა და წჳმისა მიერ დაჭკნო-ბილსა. მისმან სახემან შეპრწყუნებულ-ჰყო მოხუცე-ბი მწყემსი. მიეახლა და ჰრქუა: „ჰოი ძეო კაცისაო! მოვედ წიაღსა ჩემსა — მოვედ, მიეახლე გულსა ჩემსა, და განმიუკ უბადრუკებანი, სულთქმა და ოხურაჲ შენნი! ჭაბუკმან ძლით აღიღო თავი და ღრმას მდუმარებით შეხედა მოხუცსა მას, რომელსაცა სურდა გეჩუენებინა გულის-მოქმედებანი, და თანალმობა. ამან უეცრ გულისმოქმედებით მან სახემან უბრალოსა მის მწყემსისამან მისცა მის მორჩს — სასოებაჲ!.... დასთხივა ცრემლთა მრავალთა, გარნა მეჩვენარეთა თუალთაგან; ნაოჭნარი და მკუმთარი სახე ჭაბუკისა და საიდუმლო ღაღადებანი მიუწოდებდნენ გამოსა-ცხადებლად. ჭაბუკი იგი მკუხრით დაფარული, მეის ზე ახლდა და შეუერდა კეთილსა მას მწყემსსა, მაღლის ჴმით მტირალი: მამაო ჩემო!.... მამაო!... ხოლო უფრო მოცულმან გულმან აღარა მისცა ნებაჲ უფროს სხჳსა რაჲსამე თქმად. მოხუცმან მწყემსმან ჴელის ალერსით მსწრაფლ დამშჳდებულ-ჰყო იგი და ჰრქუა. „მეო ჩემო! განმიცხადე შენი მწუხარებაჲ, რასთჳს ჰვრეთ ჰსწუხ და ჰვაგლახობ?... ჭაბუკმან ცხარნაკვრის თუალით და მქუხარების დაწყობითა

რომელთა ჩელა გამოისახებოდა მორცხობა, ტკბო-
მოთხრობა მისდა ესრეთ:» იმიერ გორთა ნაპირთა
მათ, რომელთაცა ჰხედავ, მთის წვერზედ არიან
აღშენებული ტაძარნი შეღადარისნი, მამისა ფათ-
მაჰნი. უპატრონო ფათმა არს უმშვენიერესი ქალთაგანი
მუსულმანურსა სამღვდელოსა შორის. მე ვმწყსიდი არვესა
მამისა მისისასა; იგი მდიდარია, ხოლო მამა
ჩემი გლახაკი. მე მიყვარდა ფათმა, და მასაც უყვა-
რდი.... მძვინვარემან მამამან მისმან ჰსცნა ჩვენი
შეყვარება და სიყვარული... მე განმაგდო მშობლის
ადგილით, და ასულსაცა თვსსა განმაშორა.... შე-
ვურდი ფერხთა მისთა და ვყოხარ: შეღადარ! ნება
მიბოძე სიკვდილამდე შენს ქვეყანაში ცხოვრებისა,
სადაც შენ დამკვდრებულ-ხარ.... გევედრები, რამეთუ
არღარ გიცნობ მას, რომელსაც ვუყვარვარ მე.
მომეც ვითა უმორჩილესი შენთა არგვეთაგანი, და ნება
მიბოძე ვმსახურო მამასა ფათმასასა!... შეღადარ არ
მეუთანხმა, მიბრძანა განმოსვლა მთით, და თვთ ფა-
თმასაც ჰრქვა, რამეთუ თვითეულს ნაბიჯზედ გაუ-
ფრთხილდება მას. მე მოვედ აქ დელიდამ, მას დე-
ლიდამ, სადაც მკვდრობს ჩემის გულის საყვარელი..
ფათმა —. გარნა ვაჲ! რამეთუ იგი არს უბედურ — მამა-
ცა ჩემი ეკრეკე ურიად მოხუცებულ-არს — დედა
ჩემი არღარა არს ცოცხალი. .. კიდევეცა მყვანან
ორნი ძმანი, გარნა ვაჲ, რაბამ უბედურ-ვარ, რამეთუ
იგინი არიან მცირე-წლოვანნი, რომელთ ძლით შეი-
ძლებენ თვთ მოპოვნის ზზის ტოტის შეწოვმასა.
მე ვაცხოვრებდი მამას ჩემს და ყრმათა ძმათა ჩემთა

ფასითა-მით, რომელსა მამდევდა შელადარ. გარნა ვაჲ!... მე მას მოვკალდი.... ვჰკჳდება. «მეო ჩემო! წარჴუა ვეროდმან მწყემსმან. წარმოვედ ჩემთან დღე-ლესა მას, სადაცა ჰსცხოვრებს ჯაცხელი შელადარ, მე თჳთ მივიყვან მასთან — წარვიდეთ!... ჭაბუკი დაემორჩილა მას — დასუსტებულის და მთრთოლარის ბიჯით ივიხლა შელადარის ტალავარს. იხილეს მათ დღესა მას ფარშა!... მე ვიცნავ ფარშას, და-მახსა ჭაბუკმან; გარნა მოხუცმან მწყემსმან არა მისცა ნება სიტყჳს დასრულებისა; და შეიყვანა თჳსთან ტალავარსა შელადარისასა. «ერთი ოდეს ტრედი მო-იყვანეს ალუზმოდამ დამასკოდ, იწყო ესრე მოხუცმან მწყემსმან, და სცხოვრებდა მეორეს ტრედსა თანა. მეტრედეს უნიოდა ტრედისა მას, რამეთუ შეემლო მას ერთს დღეს გარდაფრენა დამასკოდ მკოზრით ფრთით თჳსით, და მოიშენება მასთანა ნარნართა მართუტთა. გულითადის სასოწარკვეთილებისა და მწუხარებისა გამო დაუტევა მან ველთა მისთაგან საზრდოის მიღება, მოუძლურდა და კვდებოდა იგი.... ჸაი შელადარ! ნუ განაშორებ ამათ, რომელთაცა ურთიერთისათანა სურთ ცხოვრება. უკეთუ ჭაბუ-კმან, რომელი შენ განაშე დღეიდგან, მისტაცა მას მშობლის სისხლი, იგი ოდეს არდარა არს სათნოებისათჳს?... «მიუგო ჯაცხელად შელადარ, დიდი წინასწარ-მეტყუელი არს ჩემდა მოწამედ, ვითარცა არს იგი ხამშახი უფავილთა მორის, ევრო-ოდეს ჭაბუკიცა ესე არს ერთ-გული შენი. იგი ადემატების ყოველთა ერთა მწყემსთა თჳსის სიმშჳდით

და მხნეობითა ჭირის-ჭირს სიგლახაკისა. ოსაკმა-
არს! მოუკლო მოხუცმან და კეთილმან მწყემსმან, მე
და მეც ჩემა აქა კართ და გვეყვანან ურიცხჳნო-
არგენი და გვაქუს უმეცხოესითა დედლოთაკანი ხორთზა;
მაშ წაწყალი საქონლისა ჩჳენისა და დღესა, ამის
წამიდგან მიმინიჭებს კეთილისა და უცხოსა ამის
ჯანჯღისათჳს — და იგიცა ცხოვარი, რომელი შენ
აწ მოგანიჭე, მეო ჩემო, ხვალ შუენიერი ცისკარი
მოთქორიკული-ბულბულს რა აღმოსავლეთს, მოუწინილ
იქმნებიან წინაშე ჰკვეთა ტალავრისა შენისათა; მე
ვუწყი მეო ჩემო, რამეთუ არცა ამას მისცემ
შენს საუკუნეს ჯამთამს. შეუძღვა თჳსის მკერითაც
აღვითქუამს ცხრილისავე — და უმეტესისაცა; თანავმა
არს მიგცეს კელი ასულისა თჳსისა.... მოხუცი
მწყემსი, ჰგრძნობდა სულსა მისთჳსსა, რამეთუ
მან ჰქმნა საქმე კეთილი; მიიქცა მშჳდობით უკანვე
მეუდროსა სოფელსა თჳსსა.

მოეფინა რა აღმოსავლეთსა შუენიერი ნათელი
განთიადისა, და იწყეს კარისხ-კარისხად დაშრეტა-
ცასა ზედა მნათობთა ღამისათა, მეუფსულად იწყეს
თოვლეულ სხეტაკითა არყვეთა კაკაბი, ახლოს ჰარკედ
გლახაკად მწოლის ჯანჯღის ტალავრისა, და განე-
ფინნენ მთის თხემსა ზედა, მზრუნვე ფიცხნი და
ახალნი ჯოგნი ცხენთანი.—

ერთს დღეს შევიდა მეჭურჭლეს კეთილი იგი მწყემსი,
დასასვენებლად და განვრილებისათჳს დაჯდა უცხო-
სა მის ნაძვსა ქუეშე, რომელი ჰფარვიდა შეუძ-
ღარის ტალავარს, სადა განფენილი იყო ვიწრო და

ყუავილოვანი ველი, ადგილ განთესილი კმირის ბუჩქებით, რომელთაცა ფესჳთა ჰრეცხდნენ ჩანჩქერნი წყარონი და აღმოვიდოდნენ შორის კჳპაროზისა და ლეღვის ხეთასა, მუნ მივიდა შელადარიცა, მიჰყუანდა მას პატიოსანი მოხუცი, რომლისა ხელი ეპყრა მას, საჩუენებელად შუენიერისა მის ადგილისა. სახე მისი გამოაჩინებდა სიბრძნესა, შეჭმუხჳნილსა შუბლსა მისსა ზედა გამოსატყულ-იყო სიხარული, და შეერთებულ აქუნდა ერთად სიმკჳრცხლისათანა, და მისცემდა მას საპატიოს შესახედავსა. კეთილმან მან მწყემსმან იხილა შელადარ, განუმარტა ხელნი და მიეახლა მას და მოეხვია; თუალნი მისნი აღეტყინნენ გამოუთქმელის სიხარულით. მე დავნერგენ ხენი ესე გულს-მოდგინედ, და კმაყოფით ჰრქუა შელადარ; სასიხარულო სახსოვრად! «შემდგომად ორთა მოხუცებულთა უპყრნეს ურთი ერთსა ხელნი; აქებდნენ ნაყოფიერებას და სიპოხესა მის ველისასა, სადა ველსა ზედა შეექცეოდნენ ორნი ყრმანი. კეთილნი მწყემსნი მათნი დამნახჳლნი მივიდნენ მათდა ალერსიანის სახით, და უძღუნეს მათ კურთხევაჲ თჳსი. მათ ემოსად კარგად; პირისა მათისა შუენიერება მიემსგავსებოდა ვარდსა — იყუნენ მკჳრცხელნი, უბიწო და მხიარულნი.

ესე ორნი იყუნენ ძმანი ჭაბუკისა მის, რომელსაცა კეთილმან მან მწყემსმან უჩუენა კეთილ-მოქმედება. მოხუცი იგი, რომლისა ხელი ეპყრა შელადარს, იყო მამაჲ ჭაბუკისა.

კეთილმან მწყემსმან ახლოს ველისა მის, იხილა

კიდესათანა გამწუანებულის ტყისასა ფათმა, მჯდო-მარე მდელოსა ზედა, რომელ შეექცეოდა მოყუასთა თჳსთათანა. მაშინ იხილა იგი შეუმჭუწრელს და დაწყნა-რებულის მხიარულებით, და შთავარდნილი საამოთა განზრახუათა შინა, ოდესმე იხილებოდა სამხიარულო ღიმილი მეწამულთა ბაგეთა მისთა ზედა, ოდესმე აზრკოლებდნენ მას მოყუასნი საამოს განზრახვას მკვრცხლის და უბიწოს ალერსით....

ჭაბუკი ჴშირად მიხედვიდა საყუარელსა თჳსსა ფა-თმას, და თჳთოეული მათგანი აღუჩნდებოდა მას მთჳრალად აღტყინებულისა სიყუარულით და ბედნი-ერებითა, გამომხატჳელითა მათთჳს მომავლის შჳებისათა!...

სასურჳელი მინუტი მოიწია! და ფათმა იქმნა საუკუნო განუშორებელ მისდა მეგობრად.....

სიხარული გამობრწყინდებოდა თჳალთა შინა ყოველთასა, ესრეთ ვითარცა რტონი განშჳენე-ბულ-იქმნებიან ერთ-გუარის ყუავილთა.

კეთილი მწყემსი ჰსჯერებდა ყოველთა და ჰსცნა მათი, და თაჳსი ბედნიერებაჲ, მიმართა თჳალნი—და იხილა ფართოს ველსა ზედა ურჩეულესნი შჳენი-ერებით და სითეთრით არვენი, რომელნი მიანიჭა ჭაბუკსა; რამეთუ აღემატებოდნენ სითეთრითა თჳსითა არვეთა შელადარისათა. რომელთაცა თანა იგინი იყუნენ აღრეულ. იხილა მან არვეჲ ურმისა მწყემსისა, რომელსაცა კეთილ-მოქმედ ექმნა.... გალობა მისი ესმა ჴმოვანსა სასტჳნელსა ზედა, რომელიცა დამღერიდა ბედნიერებასა თჳსსა—გამოუთქმელმან

სიხარულმან აღავსო გული მისი!!...

ჰოი შჳლნო ადამისნო! მე არა რაჲმომიმატებიეს, არცა დამიკლიეს — არამედ ჭეშმარიტი მოთხრობა მოგახსენეთ.

## საშინელი სიზმარი.

### მოთხრობა.

ერთს ცუდ ტაროსიანს შემოდგომის ღამეს, უმეტეს პირუტყვლისა შთანთქმული ოცნებასა შინა ვჯდე ტახტსა. სანთელი, რომელი მენთო, გამოუტევებდა მკრთალს და მთრთოლარეს ნათელს; ხოლო მე დაყრდნობილ ვიყავ ტახტის ფერხზედ და მას არ მივაქცევდი ყურადღებასა — დამავიწყდა თავი ჩემი.

სალმობა მტანჯველი დღითი დღე უფროს და უფროს. წინა-აღმდეგად მაქჳნდა სანთლის შუქი; ვერა რომელსამე შინა ვერ ვჰპოვებდი სიხარულს და ნუგეშსა; განვიდნენ ბედნიერებისა ჩემისა დღენი..... მყისეულად ნელიად განაღეს კარი, შემოვიდა რომელიმე უცნობი. აღვიღე რა თავი, ვიხილე ჩემ წინაშე კაცი მაღალს და ახო ანის ჰასაკისა მქონე: მას ემოსა შავი გრძელი მანტია; თავზედ ეხვია ყაუხი, ფერხთა ზედა ეცვა ბეწვიანი წაღები, ხოლო პირზედ ებურა შავი პირბადე. მან დუმილით მომცა წერილი და მიმცა მით რომელსამე შიშსა. განცჳფრებული მივედ სანთელთან, მსუროდა ცნობა კაცისა მის. გარნა იგი უჩინო იქმნა; არ დავერწმუნე თავსა ჩემსა და ვჰფიქრობდი: ნუთუ ძილსა შინა იყო

ხილვაჲ იგი, ნუთუ იყოს ოცნება რაჲმე? გარნა მე თჳთ ვიხილე თუალითა ჩემითა ცხადად. ვიხილე წერილი, და ვიხილე ჴელ წარწერილი—ხოლო რაჲ უკჳე იყო, განცჳფრებულმან და შეძრწუნებულმან განვსტეხე ბეჭედი, გარდავშალე წერილი იგი და წავიკითხე.

«დავსცხერ უბედურო ძეო, მკჳდრელო დრმად მოხუცებულთა მშობელთა შენთაო! რაჲ უკჳე გსურს მოიპოვო შორის კაცის-მკჳლელთასა, იმედნი შენ გაცრუნებულ მაღლად სიმდიდრის მიტაცებისანი, და არა უწყი, რამეთუ თავსა ზედა შენსა მოიწევიან საოცრებანი შავთა დრუბელთანი, განმზადებულნი ყოვლად წამ განკრწნად შენდა. არა უწყია, რამეთუ ან ჰსდგეხარ საფლავისა ბჭეთა თანა, ერთის ფერხით შთასხჳალ საფლავად. ჰაი, უკეთუმცა უწყოდე შენ ჭაბუკო, გენია იგი, ფერიანი იგი, რომელნიცა მივლიან... მებრალები! დასცხერ, მე გეტყვი დღესა, ანუ ხვალ იხილავ შენზედან მომავალსა.... ერთიდა საშჳალობა დავშთომიეს ხსნისა და განთავისუფლე-ბისა შენისათჳს ბაწიერებისა საკჳრჳელთაგან დამა-მძიმებელთა შენთათა, შეურდი ღმერთსა და უჩჳენე ყოვლისა თჳს განწმენდილი სინანული, სთხოვე მშობელთა მოტევება შენის ლტოლვისა თჳს მტირალთა დაუტევე ყოველივე სიმდიდრეჲ შენი მომა-ცთუნებელი, ანუ უმჯობეს იქმნების, რათამცა განეშორო კაცთა და იცხოვრო მარტოდ და მოდუმა-რებით, ლოცვითა და მარხვითა, და სხჳაზედ ვერსად დაიფარვი, ვერც წარხჳალ, ვერც ცხენით და ვერც

ჟურხით! უწოდე, რამეთუ ამის მოწყვნადმდე დაგშთებას სამნიღა ოდენ დღენი. ამისა შემდგომად გვიანღა გექმნების სინანული. თუცა ძალგიძს რათა არა ირწმუნო წერილი ესე, გარნა ამასვე დამესა გამოსცდი შენზედა მომავალთა..... აწ მშჳდობით ნახვადმდე!

წარვიკითხე რა წერილი ესე, ვიყავ დიდს ხანს განცჳფრებულ, და მრავალ-ჟამ ვებრძოდი თავსა თჳსსა, და ვიგლეჯდი თმათა თავისა ჩემისა, ვჰსწყევდი სიცოცხლესა ჩემსათა და შთავარდი ფერიადსა განწირულებასა. არავითარიმე იმედი არა დამშთა ცხოვრებისათჳს და ვიტყოდი. ვის მივმართო?.... რაჲ ვჰსთქუა?.... ესრეთ ჯერ არსა განვლო საკჳრველი ცხოვრებაჲ ჩემი.....

ქაღალდი ძლით ჩემ მიერ ჴელით შეხებული იყო დაწერილ სისხლითა, შესაძლო იყო რათამცა იგი ყოფილ-იყო ჩემ მიერ დათხეულითაც უბრალოდ, მესმა მე კუნესა და მომაკუდავთა ღაღადება, ვითარმცა მეტყოდა მე ბუნებაჲ, რამეთუ მე ვიყავ ავაზაკი-ჯი, უკეთუმცა ჟამსა მას განღებულ-იყო ტარტაროსი ჩემს წინაშე, შემრთულ-იყვნენ ცა და ქუეყანა და დავნთქმულ-ვიყავ უფსკრულსა მას!... განცოფებული ვხედვიდი ქაღალდსა მას წჳლ-წჳლილად; და რაჲ უკუჱ წარმომიდგნენ წინაშე თუალთა ჩემთა?...... სისხლი, რომელსაცა შინა ვიყავ, მოიცუა იგი ცეცხლისა ალმან: ვიწოდი, და წარვწყმდებოდი! შემრწუნებულმან დავიძახე, და ფიცხელად გამოვარდი მუნით. ამაოდ ვსცდილობდი დამევიწყებინა შიში იგი ჯერამ სადაც რა წავსულ ვიყავ, მაინც ყოველგან

თან-მდევდა: ოდესმე გამომიჩნდებოდა საშინელი დიდი გჳელი, განმზადებული საგმერლად ჩემდა სიკჳდილ შემოსილის ისრისა თჳსისა განკმულთა ყბათაგან, ოდესმე საშინელის ასაკისა გოლიათი, რომელი მექადოდა შემმუსრვასა ჩემსა; ოდესმე ცეცხლის მთა. მერმე ღამეს სასჯელი ჩემი უფროს განმიმრავლდა. მესმა, რამეთუ შეკრებილნი ავაზაკნი დაეცნენ სახლსა ჩემსა — შემუსრნეს მათ ბჭენი ჩემნი, ამტჳრევდნენ, უვირობდნენ ჲ მიწოდებდნენ ორგულად; ოდესმე წარმომიდგებოდნენ, ვითარმცა მე, ჲ სრულიად სახლი ჩემი გაწოდით; ოდესმე ერთბამად იქცეოდა ჲ ჭექით დაირღჳოდა, ანუ მჴგავსად გრიგალისა ფრინვიდა ჰაერსა შინა, ჲ მუნ ტრიალებდა ჲ საშინელის ქუხილით დაეცემოდა ქჳეყანასა ზედა; ხოლო მე კვლავ შეკრული. უკანასკნელ მოეფინა რა განთიადი სარკმელთა სახლისა ჩემისათა — ყოველივე განქრნენ ჲ დაეუუდნენ. მე შემოვიკრიბე სიმჴნე ჲ წარვედ ახლოს მყოფის ეკკლესიის მღჳდლისა მიმა-რთ, რომელსა გამოვუცხადე. მღჳდელმან მოისმინა სიტყუანი ჩემნი, გულს-მოდგინედ შემომხედა მე ჲ მრქუა; «თქუენ არ აღსრულებიესთ საქმენი თჳსნი.... ჲ ამათ სიტყუათა შემდეგ განმშორდა. არდარა ვუწყოდი, თუ რა მექმნა ჲ რა მეფიქრებინა. მოველ სახლსა ჲ ყოველითურთ ვჰსცდილობდი რა-თამცა თავსა თჳსსა მოვგებულ ვიყავ, ვჰკითხულობდი წიგნთა, დავიდოდი ჲ ვარჩევდი ქაღალდებთა: ამა-სთანვე დღე მყუდროდ განვლია ჲ უკანასკნელნი მარავანდედნი მისნი დაიფარნენ ჩემთა სარკმელთაგან,

შემოხდა მწუხრი, ღამის აჩრდილმან დაფარა ყოველნივე დაწყნარებითა — და დუმილით ცაჲ და სხჳანიც საგანი თჳალთა ჩუმთაგან — და ყოველთა დაისუენეს ღამის წყუდიადსა შინა. განვლო, რა რავდენმანმე ჟამმან, არა რამე შემთხუეოდა და დაჰკრა შუა-ღამისა საათმან და სანთელი, რომელიც ჩემს სტოლზედ ენთო გაქრა; მე ვიწექ თჳალ-დაწუხვით — სული ჩემი ჰსზღუდდა, ხოლო გული ფიცხელად ჰსმგერდა, და მესმა ცხენის ფერხის ჴმაჲ, მეყუსეულად გამომიჩნდნენ თეთრის სუდარით შემოსილნი მკუდარნი ცეცხლებრ მაელვარებელის თვალებით, მათ მოიდეს და დამიდგეს გარემო კუბონი ნელიად სტოლზედ, და მომართეს ჩუმდა საშინელნი თჳალნი თჳსნი..... სასოწარკუეთილებით და შიშით ჩამოვიდე კედელზედ დაკიდებულნი ორნი დამბაჩანი ჩემნი; ვესროლე მათ; გარნა ტყუანი ვერ მოქმედებდნენ; და რაჲ ვჰქმენ? ვიწექ კნინღა აღმოუსუნთქუელად; განმეყინებოდა სისხლი, და განცივებულ მაქუნდნენ ბაგენი; მსურდა რაჲსამე თქმა, გარნა ვეღარ შევხმარ ენაჲ: მოიწივნენ იგინი, აღმიდეს სარეცელით და შთამდუეს კუბოსა, და უნებლიედ მივეცი უგრძნობობასა, წყუდიადსა და ცივს საყოფელს. ვაჲ! წარვსწყმნდი მე...... რაბამ საწუხარ-იყო, მსურდა თუცადა ვჰყოფილ ვიყავ ერთს წამს ცოცხალი!..... შემდგომ მოვედ გრძნობას და ვიხილე თავი ჩემი ეკკლესიად, გარემო ჩემსა სუფევდა დუმილი — მუნ მლივ შევიძელ შორით ცნობა, რამეთუ წინაშე კატისა ენთო სანთელი მიმქრალებით, და არა მკრად

ისმოდა სტჳენა და ქარის შრიალი. აჰა იგი მჰსგავსი ტკივნეულის კჳნესისა დაურღუევულ-ჰყოფნეს ზართა და ქარისა მიერ მოდებულნი შრიალნი განკვეთნენ ყურთა ჩემთა, მე ვიწექ თჳალ-დაწუხვით და ყოველს წამს მოველოდი ჩემის მხჳცდრის გარდაწყჳეტას.... კლიტენი შეიმუსვროდნენ, და შრიალით კარი განე-ღებოდა და შემოვიდა მღჳდელი დიაკონითურთ პირ ჯვარისა გამომსახველი. განცჳფრებულთა შემო-მხედეს, მოიწივნენ შიშით ახლოს ჩემსა და მკითხეს: ვინა ვარ? და ვითარ მოველ აქა? ამას კითხჳასზედ მივუგე მათ, რამეთუ მე თჳთ არ მახსოვდა და არცა ვუწყოდი არა რაიმე.

მღჳდელი წარვიდა და გამოუცხადა ესე, მე უკჳე შემრაცხეს მპარავად — და გამკრეხელად, განვიდა ათხუთ-მეტი წამი, მოვიდნენ და შემიპყრნეს, მიმიყჳა-ნეს საპყრობილედ და შემაყენეს განცაკლებულს გოდოლსა, შესაძლო იქმნებოდა, რათამცა იგი ყო-ფილ-იყო ველურთა მკეცთ საცავად და სამყოფად მჯამიობთა (ბუთა) და სხჳათა. შემბორკილეს კლით და ჯერხით მძიმეთა ჯაჭჳთა მიერ, აქ თანამაძლა ტკრთჳა სიცოცხლისა ჩემისა მწუხარებით და სამი-ნელის კავებით. განვლეს დღეთა, კჳრათა, თჳეთა, გარნა მხჳცდრი ჩემი შეუცჳალებლად ეგნენ.

ოდესმე ვჰსჯეგ დაფიქრებით და განზრახვით — დავი-წყებული ყოჳელთა ჩემთა გარემომცჳელთა მიერ, მეუფსიულმან ჭექამან განმაცვიფრა, რომელი იქმნა თავით კერძო ჩემსა, შევხედე ზენა და ვიხილე აღხდილი სართული და წინაშე თჳსსა?... ვინ თჳთ იგივე

ჭავცი, რომელმან არა აღრე უწინარეს მისა მომცა შესუწდრომისა ჩემისა წერილი, — უნებლიეთ განვჰკრთი, ხოლო მან მომართა ჯაჭჳთა ჩემთა, და იგინი განქრენ ვითარცა მტუერნი. უცნობმან მიპყრა კელი და გამომიყვანა საფუროზილით, მივჰყუანდი ბნელსა და ვჰრცელს განსასუენელთა შორის სახლთასა, სადა შორით პასუხ მიგებდნენ ბგერანი ფერხთა ჩემთანი, და წუელილნი აჩრდილნი გამოჩნდნენ ჟამსა სუსტის მთოვარის ნათლისასა ანუ განქრებოდნენ ნისლსა შინა. უკანასკნელ მივიწიენით ვარდულსა, შთავედით მირს დაღმართს კიბეზედ და შთავხედით ვითარსამე მდაბალს ეტლსა, ცხენნი გაექანნენ და წარგვიდეს იმიერ მთისა, აღსდგა მტუერი მსგავსად სუეტთა ცხენის ჭლიკთაგან, მთათა ფერხთა ქუეშე ირყეოდა მიწაჲ. მრავალ ჟამ მივრბოდით, გარნა მე არ უწყოდი არცა დღეჲ და არცა ღამე. — მეყსე-ულად ცხენნი ფრთქჳნვით შეჩდგნენ, ვითარცა ბედელი და ჩუენცა ვიპოვენით ვჰრცელს ქჳშიანს ველსა, ხოლო ცხენნი უჩინო იქმნენ და ვითარმცა არა ყოფილ იყუნენ იგინი, აჰა ვიდოდით ბორცუსა ზედა და მოვრებულთა და ქჳშასა შინა შთავითქმოდით სარტყელადმდე, აჰა აღსდგა ქარი საშინელი, და ჩუენ ვითარცა ბუმბული, წარგვიღო მაღლად!

მუნ მუხისა წინ ქვაშა გრეხითა,
ჩუენცა ვიქმნებით მტუერთგან ღვჳნითა.
დავეცით დავიფარენით მიწად ტუფითა,
არ არის ჩუენი სუფევა, მუნ ცხოვრებაცა სხუაობენ,

მჳრის მიეზით უფსკრულსა ბოროტნი სულნი გუთა-
რობენ,
ქუესკნელის შიში მოგვიცავს მუნ, სადა ადგილობენ!
მეისადა უფსკრულსა განხმულ მდუღარეს,
მასში ჩავარდი ჯარულ მდელვარეს...
მივხედე განკჭკრითი სანთელსა ჩტოლად,
დაშრეტილ-იყო გნახე მილ რულად.

## ოცნება მჴნისა მჴედრისა.

რაოდენნი არიან სურვილნი! მომხსენებელნი ჩემდა, რავდენნი გრძნობანი აღმავსებელნი ჩემის სულისა ჩემის მამულისა სიყუარულის ცეცხლით — და სამშობლოჲსა ჩემისათჳს, ვითარნი არიან სიყუარულნი მეფისა და მამულისა თჳსისამიმართ; ანუ კეთილ მოქალაქედ ყოფაჲ, ანუ მჴნედ მჴედრად, ცხოვრება თავისა თჳსისასა, ანუ მამულისათჳს!... აჰა ორნი უკიდურესობანი, ანუ უმჯობეს ვჰსთქუათ ორნი საგანნი, რომელნი მიგვიყუანენ ჩუენ სარისხისა მიმართ დიდებისა და პატივსა, გარნა მაშინ ოდეს, ოდესაცა ამის სიყუარულის ალი შორის ჩუენსა დაუშრეტელი იქმნების. უკეთუ უწყოდეთ, გიტყჳთ მე, დამარხვა გულთა შინა ჩუენთან, ჩუენთა მშობელთა მცნებათათა და მით შევიმძლებდეთ სარგებლობასა; უკეთუმცა შევიმძლებდეთ გრძნობასა და ცნობასა თვით თავთა თჳსთა, და რაჲცა უფროს ყოვლისა

უმჯობეს არს განვარჩევდეთ სიმართლეს სიცრუ-საგან, და მაღალს უადმატებულესისაგან!

მიხედეთ ბრძოლას დაფნითა მიერ გვირგვინო-სანსა და ყოფილსა ასპარეზსა ზედა ბრძოლისასა დამოკიდებულსა განმასხვავებელთა ნიშანთა მიერ, ვრცელსა თხემსა მისსა დაფარულს ნაოჭებითა, რომელი მოუთხრობს სიმხნეს და უძლიერესს მოთ-მინებას.

თუალნი მისნი მარადის აღელვებიან მეფის ერთგულებით და მამულის სიყუარულით. მას არ ეშინის ტყჳის შრიალისა და ზარბაზნის გრგჳნვისა. იგი არს ყოველგან მზად, რათამცა ყოველსა ად-გილს და თჳთოეულს ნაბიჯზედ ჰსძლოს ანუ მოკჳდეს. თჳთ სიყმილი და სიცივე ვერ მოუძლურებულ-ჰყოფენ ძალთა მისთა, თჳთ სულისა ღელვათა არა მალუმსთ შეარყიოს სიმხნეჲ მისი — იგი შეურაცხ-ჰყოფს შიშსა და ორგულებასა.

რაჲ უკეთუ განდგომებულ-ჰყოფს მას, რათამცა იყოს ესოდენ ერთგულ მეფისა თჳსისა და არ და-ზოგვიდეს სიცოცხლესა თჳსსა? სიყუარული იგი მამულისა და სამშობლოჲსა თჳსისა. წრფელი სიყუა-რული შეიძლებს რათა ოდეს დაივიწყოს ყოველნი უბადრუკებანი და განიშოროს ყოველი შრომაჲ; ხოლო მტკიცეჲ სასოებაჲ ღთისა მიმართ ქონებული და დარწმუნება მისსა განგებასა ზედა მისცემენ ძალსა ყოვლისავე მღელვარებისათჳს. მაშ სრულის დიდე-ბით განხმულ-იქმნების ჩუენს წინაშე ტაძარი დიდე-ბისა, და ჩუენ, დაფნთა მიერ გვირგვინოსან-ქმნილნი

შეუდგებით მოკლეს გზით კვალზა ჩინებულთა მამა-თასა, რომელთაცა ერთი ოდენ მოგონება ჩუენთჳს ძჳრ-ფას-არს, ხოლო დიდთა საქმეთა მათთა ქუეყანასა ზედა და საუკუნოდცა დიდებულთა, რომელთა ერთი ოდენ სახელნი მქუხარებდნენ უცხოთ-კერძოთაცა შორის, მოიუჳანნეს ყოველნივე მონებასა-ქუეშე და თჳთ მტერთაცა აიძულეს მრწოლად?.... ჩუენ თანამდევნ-ვართ თავმომწონე-ყოფად ესე ვითართა მამულის მამაცთათჳს! მივსცეთ აღთქმა, რათამცა ყოველსა შინა ვბაძვიდეთ მათ; შევსწიროთ მას თავნი თჳსნი სიჭაბუკისა წლიდგანვე და რათამცა არა დავზოგოთ არცა შრომანი, არცა ცხოვრება და არცა თჳთ სიცოცხლეცა, განსაკუთრებით მისთჳს, რათამცა მივიწივნეთ მაღლის საგანისა მიმართ — და დაუტეოთ შემდგომ ჩუენსა უკუდავი დიდება აქ და მომავალსაცა ცხოვრებასა შინა.

ოდეს ჩუენ არღარა ვიქმნებით, და ოდეს მტუერი ჩუენი განიხრწნების მიწასა შინა, მაშინ უკუე მმადლობელი მამული ჩუენი აღგვიმართავს შეუ-მჭრელსა და დიდებულსა სახსოვარს გულსა შინა თჳსსა, და შებრალებით აღმოიოხრავს და შესწირავს ყოველთა დამბადებელსა მხურვალეთ ვედრებათა და აღანთებს ეკკლესიად დაუშრეტელს ლამპარს, და აღთქმულსა მიართმევს მისისა სიწმინდით დაცჳ-სათჳს....

ვისი გული არა შერყეულ-იქმნების, რომელიცა იხილავს ნათესავსა თჳსისა მდელვარეს ღუაწლს და მოყუასთასა? ვისი სული არა აღფრინდეს სავედრე-

ბულად ყოვლად საუკუნოს სიბრძნისა მიმართ მჴნე-
თათჳს დამტკევებულთა სიცოცხლისა თჳსისათა ველსა ზედა ბრძოლისასა! სანუკუმოო ჭეშმარიტებაო!

ჰოი ღირსნო მამაცნო! ისწრაფეთ, ისწრაფეთ, რათამცა აღასრულოთ ღუაწლნი თქუენნი მოძმეთა თანა და თანა-მშრომელთა ველსა ზედა ქუენესისასა! ისწრაფეთ მამანო და დედანო ნარნარნო, ამბორის-ყოფად შვილთა თქუენთა, და ასხურენით გაყინულთა გუამთა მათთა ცრემლნი მხურვალენი!.....

უკანასკნელი ესე ამბორის-ყოფად დაბეჭდავს ბაგეთა ზედა საუკუნოდ განშორებასა და მათ თანა წარვალთ საყოფელსა ნათლისასა! — ისწრაფეთ გულს-მოდგინედ მამულის მოყუარენო, და სამშობლოჲსა თჳსისანო ამბორის-უყავით ახოანთა მცუელთა თქუენთა — იგინი თქუენთჳს ცოცხალ არიან და მოელიან ღიმილსა თქუენსა და მხიარულებასა; იგინი მზა-არიან მოხვევნად თქუენდა, ვითარცა მოყუესთა და ძმათა თჳსთა! მზა არიან მეტყუელებად «ჩუენ ვართ სამშობლოსა ჩუენსა და თქუენთანა განუშორებელ!» ვითარ საამო და ვითარ სანუკუმო არს ცხოვრება მამულისათჳს და სიკუდილიცა მისთჳს!.... ჰოი, წმიდაო ჭეშმარიტებაო!!!

დედაკაცი და უფროს ურცხჳ, არს საფრჩე კაცისა, დამთხევი სისხლისა, დამაბრკოლებელი მყუდროებისა, ტყუეობა ცხოვრებისა, დაკლების-მოყუარე; სიყუარული სამაგელი, ჯოჯოხეთი უძლეჳი, ბრძოლა დაუგმელი: დედაკაცი არს უფროს თავ-

ლისა უტკბილესი და ფრიად მაწყინარი, ოდესაც ვინმე ეტრფიალება მას, იგი თავსა თჳსსა შეჰც-ბულსწყალობს, და ოდეს შეეხების, მაშინ შეიბილწების, ოდეს ეტრფის, მაშინ მოაცთუნებს, არა რაჲ არს ქალწული, გარნა ჯრღმული, რომელი შეჰსჭამს ძალსა, მიიტაცებს სხეულსა, შესჳავს ოქროსა და შეუვარებით წარწმენდს კაცსა, ხოლო გულის-თქმა დაჰსწჳავს ქებასა კაცისასა.

თ. დ. ციცი-შვილი.

## სჯულმდებლობა საქართველოს მეფის ირაკლი II ისა. (*)

### (ისტორიული აღწერა)

## 1775.

ყოველმა ქართველმა ვიცით, რომ მიზეზი საქართველოს დამონებისა და სარწმუნოების დარღვევისა იყვნენ ყიზილბაშთა შახნი; გარნა ამ გვარი უმეცრი თავის გამოდება იაფათ არ დაუჯდებოდა შახსა, რომელიცა მოიხმარებდა ამ საგანებზედ დიდთა შესაწირავთა.— შახნი ბოლოს ჟამს მოდიოდნენ ცნობას და ამისთვის სხვათა დონის ძიებითა ცდილობდნენ, რათა აღესრულებინათ თავიანთი გულის-წადილი. საქართველოს სისუსტების დროს, ყიზილბაშთა მპყრობელნი ჰზრდიდნენ მეფეთა მემკვიდრეთა თავიანთ ხელქვეშ. შემდეგ, როცა ისინი დაგვირგვინდებოდნენ, აღზრდილთაგან შახნი მოელოდებოდნენ და აჩქარებდენ აღსრულებასა თვისთა სახეთა.— ხოლო

(*) ამ ჩინებულის სტატიის გამომგზავნელს უ-გამრჯელოვს სთხოვს რედაქცია, რომ რადგანც გვიწერს ამ გვარი ბევრი რამ ილაპარაკება ირაკლიზედ ხალხშიაო, შეკრიბოს ეს ანბავები და გამოგვიგზავნოს დასაბეჭდავად, ჭეშმარიტად დიდად დავუმადლებთ, არა თუ მარტო რედაქცია, არამედ ყოველი ქართველი. რ.

## ჰსწავლა და ხელოვნება.

მრავალჯერ უფრო მათი ცდილობა დაბოლოვდე-ბოდა მარტო იმით, რო ენახათ საქართჳელოს ტახტზედ მეფე მცნობელი ჩჳეულობათა ირანისათა და მომქცევი იმაზედ მარტო სახლობაში. ირაკლი II, მეფე საქართჳელოსი, ამა ჩჳეულებით იყო აღზრდილი სპარსეთის სახელმწიფო სახლში. სიუხვესა და ჩვეულობასა ირანისასა იყო საკმაოდ შეჩვეული და იმით აღვიდა ტახტზედ. ხოლო ჩვეულებანი ესენი არა შეეხებოდნენ უდაროსა გონებასა და კეთილსა გულსა მისსა, არამედ გარეშე მხარესა მისსა ცხოვ-რებისა. ვერც თავი ახოვანისა და ქებულისა მეფისა დაიფარებოდა ჩალმითა, წელზედ ირტყმიდა შალსა, ერთი სიტყვით საცმელი მისი ემსგავსებოდა სრუ-ლიად სპარსულს. — ეს გარეშე სამოსელი მისი იყო მიზეზად ერთისა საოცრისა შემთხვევისა: ერთს ზაფხულის დროს გაიარა ირაკლიმ სოფელს ვაქირს (ახლა უეზდის ქალაქისა, სიღნაღს,) გა-მოვიდა რა გზით დაჩრდილებულ ორღობიდგან ნაპირს სიამოვნებად სახეთა კომლიანისა სოფლისა და მშვენიერისა ვაკისა ალაზანისასა, — რამთენიმე წამსა შეეფარა ჩრდილქვეშ დიდ ფოთლიან ლეღ-ვისა, რომელზედაც შემოსხდნი იყვნენ ნაყოფნი. ხოლო იქ მიიღო სახსოვარი წყენა: ერთი ყმაწვი-ლი ქალი დამალული ფოთლებში, ჰკრეფდა ლეღვსა, და რა დაინახვიდა უცნაურ ყიზილბაშურს საცმელში მის თვალ თჳს უცხოსა, დაიწყებდა ცინვასა, — გარნა არ იცოდა რომ კაცი იგი იყო ის მეფე, რომელიც საქმითა თჳსითა შეაძრწუნებდა მტერთა და მამაცობითა

აღმოუხვრიდა მარიანათ მათ; მეფემან იმის უკადრისობაზედ არა წარმოსთქვა რა; არცა თუ ერთი უბედრებს და არცა მწუხარი სიტყვა, და ეს იყო მიზეზად, რომ პატარა ქალმან, მანამდინ ახლო იყო მეფე, ვერა-ფერი ვერ გაბედა და როცა გასცილდა, აარჩია ერთი მუჭა მწიფე ლეღვი, გაისროლა და სტყორცა მეფეს ირაკლის კეფაში. მხლებელნი განცვიფრებულ იქმნენ ამ გვარ უშვერ საქმეზედ და დაუწყეს ქალსა ძებნა. მწვანე ლეღვის ფოთლებში გამოჩნდა სახე ახალგაზდა ქალისა გალათით, მწარეს დაგლეჯილისა. ირაკლი, მცნობელი ჩამომავლობისა პატრონისა და ზრდილობიდგან გამოსულისა ქალისა, მშვიდათ გაემგზავრებოდა გზაზედ. —

ანბავი ესე შეიტყვეს მრავალთა, რომელთა რიცხვშიაც თვთან იმ ქალის დედ-მამამაცა. დედამ მოუწოდა ქალსა და შეწუხებული არ დაიშურებდა არცა ცემასა, არც წყევასა: ინატრიდა, რომ მისა გახეთქილი იყო და თან ჩეეტანა, მეხი დასცემოდა, სახლთაგან საყვარელი ირაკლის, მეფის გამაპატიებურის თავსა, რო არ დარჩომილი იყო შესარცხვენად ოჯახისა და წყენად მეფისა, რომელზედაც უკარგისი ქვეყანაზედ არა რაჲ მიაჩნდათ. კეთილ გულიანმა მამამ იფიქრა ბოდიშის მოთხოვნა მეფის წინ. რა მრავალჯერ პატივი მიმღვნია მეო, რო ეხლაც ჩემს სახლიდგან მიიღოს წყენა. — მეფე იარაკლი ახლო სოფელს (დიდ საქობის) ჩამომხდარი იყო. ამისთვს არ იყო ძნელი მისი ნახვა და მოქმხალდა წარსდგომად მის წინ; განსამდრდომელად უწინდელის

მისართმევისა, არა ჯხადი სამეტოდ წარმოვსთქვა, რაში მდგომარეობდა მისი მდგენი. მარანში მოხადა პირქვედი ქვევრი თავისა ღვინისა, სამსო ყურიანი ხელადა ჭაშნიკად, მამხალდვინა ქათმები, გამტკიცვინა პური, შოთები ჩააწყო ხურჯინში, გადიკიდა მხარზედ და გაუდგა გზასა. —

შეურაილობამ ხალხთა აჩვენა ადაგი, სადაც ჩამომხდარ იყო მეფე. დიდითა კრძალვითა მოხუცი, შემკული სიბერისა უკუკილითა, ესე იგი, თეთრითა თმითა, მიიდებდა ნებასა ნახვად ირაკლისა, სახე და მომრაობა მოხუცებულისა აჩვენებდა, რო ის იყო შაწუხებული და ჰქონდა ფრიად საჭირო თხოვნა: გართხომილი ეხვეოდა მუხლთა მეფისასა. შემდეგ ირაკლიმ უბრძანა, რა გაჭირვება გაქვსო და მან წარმოსთქვა: ამაზედ გაჭირვება რაღა იქმნებაო. გაჭირვება და ჭირი ბედნიერისა მეფისა მოსცეს მის მოყმესა, ერთი ქალი მყავს და იმისაგან ვიყავ მრავალჯერ თავ შერცხვენილი, ხოლო ეხლა სუფევლია წყენასა გადაჭარბა და ერთი მათგან უფრო საგრძნობელ იყო ჩემის სიბერისათჳს — თქჳენი გაუპატიურობაო. სმენისა წამს ამ ამბისა დამეცა თავზე ზარი. ცხოვრება და სიკვდილი ჩჳენი მდგომარეობს ჴელთა თქჳენთა; ხოლო კაცთ-მოყუარეობამა და სულგრძელობამა თქჳენმა განმაკადნიერეს თხოვნად და შვრათ მრავალთა დიდ საქმეთა ესეც: არ მაგვცეთ განწირომილობასა და აპატიოთ სიოცრე უმაწვილობისა ქალსა ჩემსა. გასამართლებლად მის ქალისა იყო მარტოდ უცნობო

და არ დაზღუმნა მისიც წარმოთქმა: არა ცოდნა არა ცოდვა არის, როგორც მოგეხსენებათ. მხიარულმან სახემან მეფისამან მისცა ნება მოხუცებულსა რამდენიც უნდოდა ელაპარაკნა. შემდეგ მცნობი მის გულისა მდგომარეობისა, ირაკლიმ შეიწყნარა აღსრულებად მისი თხოვნა და რახან მოხუცებული კაცი შეწუხებული იყო, კიდევ არ ებოროტნა გასაქარვებლად მისისა წუხილისა, მისცა რამდენიმე თეთრი ფული და სიცილითა ეტყოდა: «უთუოთ ხუჩედ ბღლარმუნითა უხევია შენ ქალს ტანისამოსი, წადი და შენ ცელქ და ანც ქალს უყიდე ამით საცმელიო.»

მიმღები ფულისა, გამგონე აგრე ტკბილითა სიტყვითა მეფისათა, მოხუცებულმა არ იცოდა, რით გამოეთქუა მადლობა, შემდეგ ფრიად დაბლა თავის დაკვრისა, სამსე გრძნობილობითა, გარეშორა მეფისა სადგომსა.

რახან ეს შემთხვევა იყო საზარელი ყოველთათჳს, მოელოდნენ იმისაგან მრავალთა ცუდთა დაბოლოებათა; მოსვლისა წამს მოეხვეოდნენ და გაოცებდნენ კითხვითა: ხო არ გაგიწყრა მეფე, ანუ სხ·ვა არაფერი არ მოგსვლიაო? იგი უპასუხებდა; ბედნიერება და დღეგრძელობა მოსცეს უმაღლესმა მეუფემა, ჩუენსა მეპატრონესა, ვინათგან ესრეთი სულ-გრძელი გვყავსო. გული მისი აგრე აღმსილი ჩუენდა მოძარით სიყუარულითა, რო არა თუ დამსაჯა იმ საქმეზედ, რომელისაცა დამიყლის ჟრუანტელსა ყოველთა ძარღვთა ჩემთა..... არამედ საჩუქრითა და დიდითა წყალობითაც გამომისტუმრაო!

ამ გარემოებამ დანერგა გულსა დაჯილდოებულისასა, (ღირსისა) დასჯისა ღირსისა, გამოუცხადებელი გრძნობა მადლობისა, ირაკლის ჩრდილითს მიერ, საკვირველება და შიში იხარებოდის სახეზედა მოხუცებულისა დედაკაცისა (ანასტასია), როცა ის მოიგონებდა სიცელქესა ყრმობისასა; უმეცრად მეფის წყენასა და წითლდებოდა საქმეზედ, რომელიცა დიდხანია რაც დუშვრა და განუარა თითქმის ერთი საუკუნო: ... მოგონება წყალობისა მეფისა მიჰყვნდა ნათესა სიხარულისასა გარდახდასა მისსა ცხოვრებისასა:..... ისტორიკი, მსაჯული და მხილველი ყოველთა ქცევათა ირაკლი II—ისასა, რასაკვრელია იპოვნის შემთხვევასა, სადაც იქნება აგრეზუსტად არ სცნდეს კაცთ მოყვარული მხარე ერთისა დიდთაგან მომდეობითა საქართველოს სოფლისა, სადაცა მოხდა აღწერილი ამბავი, გვგონება იმ ერითვან, რომელმაცა დაამშვრა ეს საქმე, ანუ უპატიურობა: ესე გარემოებანი ჰხლდიდნენ ამ ახალ შეცდუბილს ჩემთვს ამბავს, ფრიად სასიამოვნოდ. მრავალი ამგვარი გაიგონების ირაკლიზედ ხალხშა და იმისა მოწიწებითი სხვა განუფინების ხალხში.

ირაკლი II, წარმოგვიჩვენა თვითცამ უბედურობის დროებასა. მის ქვეშ მრდომთა, განსაკვირვებლად მათა მძიმისა შესახლომისა, მოსარჩენად წყლულთა, მიყენებულთა უმრავლესთა მტერთაგან: თუმცა უკანასკნელ ჟამსა, მისთა დიდთა საქმეთა გადეფარნენ დრუბელნი უბედურობისა და მწუხარებისა — ამის ნიმუშათ გვაქვს, რომ მის

დარჩათ გადიფინენ საქართველოზედ ცხოველნი სხივნი, უფრო დიდ მადლისა მნათობისა........

ნ. გამრეკელოვი.

## ჰსჱა.

მოყუარე ბუნებათა, შემდგომად გრძელ-ჟამიერისა წვიმიანობისა, განიცდის რა განთიადსა, იხარებს მაშინ, ოდესაც ცისკარი უდრუბლო განაბნევს იწყუსა სანადისა დარისათჳს; ხოლო უკეთუ სადმე ჰპოვებს დრუბელნი თჳთ მცირედნიცა, არა ჰსდუმენს მათთჳს, არამედ იტყჳს იგი ჰაზრთა თჳსთა, არა განმარის-ხებულად წესთა ბუნებისათა, არამედ საცნობელად ოდენ, რათამცა შემდეგითი-შემდეგად ცნობა მოქმე-დავთა შეგვიძლოს რაოდენ შესაძლო არს აღსავალსა სრულებისასა.

ამა ჰაზრთა ჩუენცა ვჰსჭვრეტთ ცისკარსა ჩუე-ნისა ქუეყნისასა:

განვლო რა ზრქელმან უკუე დრუბელმან, დაფა-რულმან ჩუენ ივერთაგან მშუენიერ-სიტყუაობათა მამათა ჩუენთათა, აღმოდის ცისკარი მისი, იმედად დღისა, ჩუენთჳს გულითად სანადისა.

ვჰსდუმებ აქა მიზეზისათჳს, რომელთა რაოდენმე ძნელ-ჰყუეს ივერთა მეტყუელებისა მშუენიერება, ვინადგან მიზეზნი ესე საზოგადოდ უკუე ცნობილ-არიან; გარნა საქებაროდ ვიტყჳ, რომელ არცადათუ

სადმე უუდიდესთა და უუძლიერესთა სამეფოთა შინა იპოვებიან მრავალნი საუკუნითნი მოთმინებანი ესრედ, ვითარცა მამული ჩვენი, განცდილი პირად-პირადთა ტომთა, და ენათა მიერ წინა-წყობიეს მათ და დადგრომილ-არსცა აზრსა ზედა თჳსთა ჴსჯულისა და ენისასა, ამისთჳს არცაღათუ მცირედ საკჳრველ-არს, უკეთუ რაოდენმე დაჩრდილულ-არს აწ მეცნიერება ჩუენი; აწ, ოდესცა მალ-სადამე უკუე გვიძს მონიჭებულთა ჩუენთა ღვთისა და დიდისა მპყრობელისაგან საშუალობათა მიერ მყუდროვებისათა უკუნ-გაქცევით ჩრდილი, რათამცა გამოკრთეს მუნით ელვარება მიმოთქმათა ივერთათა.

ნუვინ, ნუვინ იკადრებენ დარიბად სახელის-დებასა ივერთა ენათასა, არამედ აქებდინცა მისსა სიმდიდრესა, რომელი ჰსჩანს აწცა დაღაცათუ, ზრუნვათა გამო მსოფლიოთა, მცირედ რიცხჳთა, მეცნიერთა შორის მეგლთა და მატიანეთა, გარნა ბრწყინვალენი მცირენი ესე დიდთა შარავანდთა სიმდიდრისათა. — ინებოს ღმერთმან, რათა დროჲ ესე ჩუენი მიწიეთეს იმავე ხარისხსა მეცნიერებისსა, რომელსა ზედა ჰსდგანან მეცნიერნი იგი წერილნი, და ამის მეცნიერობად თანა-გუჳამს თჳთოეულისა, რათამცა კაცად-კაცადმან მოიღოს, დაღაცათუ მცირე, გარნა გულითად შემძლებისაებრი ნიჭი მსხუერპლად სავსებისა.

ნიჭი, ანუ ტალანტნი არა განეყოფიეს ყოველთა თანა-სწორად; ერთისა მაღლობს, მეორისა ზომიერებს და სხვისა მდაბიობს, გარნა თჳთოეულსა მათგანსა აქუს ღირსებაჲცა და სარგებლობაჲცა; რამეთუ

უკეთუ ნიჭი ყოველთა ერთ-სადამე იყოს, მაშინ არცამცა საჭირო იქმნებოდა დამოკიდებულება ურთი-ერთისა ზედა ყოვლისა ხილულისა ჩუენ მიერ დაბადებულისა, რომელნი ესრედ მტკიცედ შეკრულ-არიან ჯაჭუარითა ურთი-ერთისად დამოკიდებულებისათა. და ამისთჳს მაღალნი, ნუ ამაყობენ ზომიერისადმი და ნუ განკიცხვენ მდაბიოსა, არამედ განმართენ ნაკლულევანება სხჳსა; საშუალმან შეუდგეს კუალსა უმჯობესობისსა, მდაბიომან მოითმინენ ჰსწავლა გონიერებით, და დაშურენ მიწუთომად ზომიერებისად. და ესრედ ყოველთა მათ მიწუთომად სრულებისადცა. — ამად გვადირს განვეყუენოთ გიობა, განკიცხუა და განქარდეს თჳთ უუმდაბლესისაცა ნიჭისა, რათა განხადისებული წარემართებოდეს უმჯობესისადმი. — ნუ შევალნ ვისადმე იჭჳ, რომელ ვიტყოდე ამას თავსათჳს ჩემისა, რომელისა კალამი შირეულად ოდენ აღმოწერებულ არს დასახატავად უსრულთა ამათ სიტყუათა: არა, არამედ ვითხოვ ჩემდა ერთ-მემამულეთაგან, რათამცა მეტთათჳს მამხილონ, ნაკლულევანება აღავსონ, ხოლო ზომიერებასა მისცენ ჯეროვანი. — ფრიადცა და მიუცილებელ საჭირო არს, რამეთუ იგი განსწმენდს დეფარმლოთაგან ჩჩჳლსა ჯერეთ ჯეჯლსა საწადისა იაქლისასა, აღაორძინებს მას ფრიად თავ წარსხმულად ხუცილად და მოვჳსთულებს მჭედლეულათა საიმედოთა საუნჯედ; ხოლო წინა აღმდეგ უკეთუ ვჰსცდუმოთ და განმძლიერდეს ღვაწლი, ესე ყოველი იკარ-იქმნების. — ბრიუკ ჩემი კალამი გარდახდა, ვჰგონებ, მზავლისა მეტყუე-

ლებითა საზღვარსა იმა საგანისასა, რომლისათჳსაცა იგი აღვწერე; მე მინდა ვჰსთქუა, რომელ ცისკარი აღმოსდა, ვჰგონებ, მისთჳს, რათამცა ენა ივერთა რათუ ოდენ კიდე უწყუს აგოს თჳსსავე წესსა, არამედ უმეტესცა წარმართოს იგი; ამისთჳს ზრუნვა ჩუენი უნდა იყოს: პირველად განვჰსწმინდოთ იგი სიტყუათაგან უცხოთა, მოვიძიოთ დაკარგულნი, რომელნი წაბაძჳსა გამო და ანუ დავიწყებისა გამო ჩუენ მიერ შემოერივნეს, ანუ ახალნი ნაცვლად მათსა და ანუ რასაკჳრუელია დროსა მოუცილებელისა საჭიროებისასა შევყუანოთ უცხოთა სიტყუათაცა (თჳნიერ რომლისა ვჰგონებ არცადათუ რომელიმე უმდიდრესთა ენათაგანი ჰგიეს) შემდგომად მივსცეთ მათ კანონნი ჩუენის ღედა-ენის თჳსებისანი და უკანასკნელ ვკამათოთ იგი მოყუსნიერის კვლოვნებით, რომელ არს თჳთ მეუფსი ენისა ჩუენისა. ამით ძრუჳელი განქარდების და უნისლო ცისკარი მოგვიყვანს დღისად. ამა ჰაზრით მე წარუდგენ ჰსჯასა მეცნიერთასა რაოდენთამე სიტყუათა, პოებულთა ჩემმიერ ცისკარსაშინა, რომელთა ცვალება საჭიროსადამე ვჰგონებ, არს.

ვიწყებ თავიდგან: წარწერილ-არს ცისკარზედ «ქართული სალიტერატურო ჟურნალი» სიტყუანი ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო და ჟ უ რ ნ ა ლ ი, არცათუ ერთმან ჩუენგანმან იცის მან, რომელმან არა იცის ენანი უცხონი, ხოლო მან, ვინცა იცის ენანი უცხონი, უხუად სადამე აქუს მოთუს ენათა ზედა უვრცელესნი ცისკარისა სალიტერატურო ჟურნალნი

და მაშასადამე მისთჳს ოდენ ესეცა და მზგავსნი სიტყ-ყვანი მისაწთომ არიან. არა, თუ ვჰკითხო ნაცვლად სალიტერატუროსა ვჰსთქვათ, მ ე ტ ყ ჳ ე ლ ე ბ ი ს ა, ხოლო ნაცვლად ჟურნალისა ო ქ მ ი, ს ი გ ე ლ ი ანუ მ ა ტ ი ა ნ ე, რათამცა საცნაურ იყოს, რომელ ც ი ს კ ა რ ი არს ქართულისა მეტყუელებისა სიგე-ლი; ნაცვლად რ ე დ ა კ ტ ო რ ი ს ა ვიხმაროთ დიდის ხნიდამ ცნობილი ჩუენდა მ ე ს ტ ა ნ ბ ე ანუ ა დ მ ბ ე ჭ ვ დ ე ლ ი, ნაცვლად პოეზიისა მ ო შ ა ი რ ო ბ ა და მ ო ლ ე ქ ს ო ბ ა, ნაცვლად პროზისა წ ა რ თ ქ მ ა ანუ წ ა რ მ ო თ ქ მ ი თ ი წ ე რ ა. კრავატი შაჰსცვალოდ ც ხ ე დ რ ა დ ანუ ს ა რ ე ც ლ ა დ. კრესლო ს ა ვ ა რ ძ ე ლ ა დ და ესრედ შემდგომნი.

მეტყჳან მე, რომელ სავარძელი, სარქმელი, სა-რეცელი ანუ სხუა მზგავსი ამისი მრავალთადმა ჩუენგანთა არცადათუ ცნობილ-არიან, ხოლო კრა-ვატი და კრესლო უწყიან ყოველთა; ამასა ზედა მეცა თანახმა ვიქნები; გარნა ვინათგან ცისკარსა საგნად აქუს აღდგენა და განვრცობა ჩუენისა ენისა ამისთჳს, ვითარცა ზემო ვჰსთქჳ, უმჯობეს-არს გავიხსენოთ დავიწყებულნი სიტყუანი და სასმენელნი ჩუენნი შევაჩჳოთ მათ, ვიდრეღა სრულიად დავ-ვიწყეთ მოჯარულნი ჩუენგან და ნაცვლად მათისა შე-ვიწყნაროთ უცხო; ხოლო ჰსწავლა საზოგადოდ ამი-სიცა და მისიცა ორთავე თანა-სწორ-არს.

მე აქა წარმოვჰსთქჳ სამაგალითოდ რაოდენიმე სიტყუა, გარნა სურვილი ჩემი არს, რათამცა ყოვე

ლმან აღმშენებელმან ცისკრისამან მიიღოს შრომა, უჩუენოს ჩუენსა საზოგადოებასა სხოლიოთა შინა სიტყუანი უცხონი, ჩუენთა თხზულთაგან ხმარებულნი, გადაცუალოს იგი ქართულად თჳთ და ანუ მოუწოდოს მცოდნეთა ჩუენის ენისათა დამწერენ ამისთჳს. — არა არს იჭვი: თჳთეული უმსხუერპლებს მამულსა ენასა ყოველსა მადლსა თჳსისა ნიჭიერებისა და შრომისა, და ესრეთ წარემართების რა ენა ჩუენი უმჯობესისადმი დროთიდროდ, მიაწევს ოდესმე მადლითა ღთისათა სავსებისადმი.

იმერთ თავ. ირაკლი ლორთქიფანიძე.

კბ მაისს, ჩყნზ ს. წელსა.

## ფილიპ სიდინი.

### კეთილის მოქმედი კაცი.

ერთს სოფელში ახლოს სამზღვრისა, ჰსცხოვრე-ბდა და იქნება ახლაც ჰსცხოვრებდეს — ფილიპ სიდინი. კაცი ესე იყო შრომის-მოყვარე გლეხი, რომელიც ყოველთვის უკეთეს სხუათა შეამუშავებდა თავის მი-წასა და ყოველთვის უმეტეს სხუათაც მოჰყვანდა პური და არაოდეს არ ჰყიდდა. ამისთვის ეზოში უდგა იმას ყოველთვის რამდენიმე თავმოდგმული პურის ძნები.. დაუდგავთ ცუდი წელიწადი; და ყოველნი მცხოვრე-ბნი იმა სოფლისანი გაღარიბდნენ, თვინიერ თადა-რიკიანის ფილიპისა. მაგრამ თადარიკი მისი იყო არა საკუთარის თავის კეთილ-დღეობისათვის. ნაცვლად მისა, რომ გაეყიდნა პური თვისი მაღალ-ფასად და შეეძინებინა სიმდიდრე, რომლისათვის შემთხვევაც ჰქონდა, იმან საჩქაროდ მოუწოდა ღარიბებსთა მცხოვრებთა იმა სოფლისათა და უთხრა: «ძმანო! თქუენ ახლა გაჭირსთ პური და მე მრავალი მეპოვება; აბა წამომყევით თან, რამდენიმე ძნა მიდგია, დამეხ-მარენით დაკქვაში და წაიღეთ იმდენი, რამდენიც თქუენთვის საჭიროა. გლეხნი გაჰკვირდნენ, ამისთვის რომ ქალაქებში და სოფლებში ამისთანა დიდსულობა არის იშვიათი. ესა ამგვარის სიდინის კეთილ-გუ-ლობისა გავარდა იმ სოფელში. საწყალნი სხუათა სოფლის მცხოვრებთაგანნი მოჰმართავდნენ და სთხო-ვდნენ პურს. კეთილი ფილიპი უწოდებდა ყოველთ

თავის მშვიდად და არც ერთსა არ ეტყოდა უარს. «მალე გამოგვკვებავს პურით, ეტყოდა ცოლი. ღმერთი ბრძანებს მიეცით ღარიბთაო.» უპასუხებდა ფლორი. ცამ ისმინა ლოცვა ღარიბთა, და დალოცა შემდგომი წელი კარგის მოსავლით. სოფლელნი, რომელნიც იყვნენ დავალებულნი ფლორისაგან, მოვიდნენ თავიანთ ქვრივ-მეოჯულთან და უბრუნებდნენ მომეტებით იმ პურსა, რომელიც მისგან ესესხნათ.» შენ გამოგვიხსენ ჩვენ და შვილი ჩვენნი დამშეულის სიკვდილისაგანო, უბნებოდნენ. მარტო ერთს ღმერთს შეუძლიან გარდახადა ამისი და ჩვენ გიბრუნებთ მადლობითა იმას, რაცა შენგნითა გვესესხნაო. — ჩემთჳს საჭირო არა არისრაო, უპასუხებდა ფლორი მე ბევრი მაქვს ახალი პურიო, თქუენ მადლობელი იყავით ღვთისაგანა და არა ჩემგნითო, რომ არა მე, არამედ იმან გიშველათ საჭიროებაშიაო. ტყუილად არ ჩამოესხნებოდნენ იმას მოვალენი მისნი. «არა, მე არ მინდა თქუენი პურიო: თუ მომეტებული გაქუსთ მიეცით იმათ, რომელთაც წარსულს გაზაფხულში არ დაუთესიათო და ახლა ძალიან ჰსაჭიროებენო: ჩუენს სოფელში ბევრი ამისთანა იპოვება. და თუ იმათ კელს გაუმართავთო, ღმერთი სამაგიეროს გარდაგიხდისთო.» მაშ კარგი, უთხრეს ცრემლით სოფლელთა: კარგი, აგრე იყოს როგორც გნებავს! ჩუენ დავუბრუნებთ ამ ღარიბ გლახაკთა, და ვეტყვით, რომ ისინიც ერთად ჩუენთან ადიდებდნენ შენთჳს ლოცვით ღმერთს. შვილნი ჩუენნი აგრეთვე შენთჳს ილო-

ყვიანნი.... ფლორმა დაუშრატა მათ ცრემლს თავისა ცრემლითაც და ზე აღმართავდა თუალთა თჳსთა ცათამდი!!

ერთს ახალს სოფელში დაიწყო თოთხმეტი სახლი; ფლორმა დაურიგა ყოველს სახლში ორორი მანეთი ფულად და სამსამი კოდი პური.

რავდენსამე დროს უკან დაიწყო მეორე სოფელი. სოფლელნი, მოკლებულნი თითქმის ყოვლისაგან, რაიცა ჰქონდათ საზრდო, მოვიდნენ სულგრძელს ფლორთან სათხოვრად, რომ ამათთჳს შეეწყობა მიეცა რამე. იმ ჟამად არა ჰქონდა მას ფული. «მე მყავს მომატებული ცხენი, უთხრა იმან: წაიყვანეთ, გაყიდეთ და ფულები მოიხმარეთ.»

თავის მეპატრონის სახელზედ იყიდა ფლორმა ორი ქალი, მისცა საკუთრივ საცხოვრებელი, ინახვიდა ათარეცა საკუთარსა თავის ქალებსა და გაათხოვა კარგად მზითვით. ამის გარდა კიდევ მრავალი კეთილი საქმე ჩაიდინა!

უკეთუ შენ კიდევ არ დაგივიწყებივართ ჩვენ, მეგობარო კაცთაო, ფლორ სილვიო, და არ გადასახლებულხარ ანგელოზთ სადგურს, სადგურს, რომელიც გეკუთვნის შენ, და საცა კელი მოწყალებისა დაგადგენს უმაღლეს ყოველთა მომაკვდავთა, რასაკვირველია ახლაც კეთილს უმოქმედებ შენთა მოყვასთა და ამაღლებ ზეცისთვის ღირსებასა შენსა!

ზაალი ხითაროვი.

უპირველესი მხატვარი პოლ დელაროში.

ამ ცოტას ხანში მოიცვალა დელაროში. იმას დარჩა ორი შვილი, რომელთაგანაც უფროსი არ აგერ ოცის წლისა.

შეხრჩოლდენა; ამ ურმათა არამც თუ არა აქუნდათ მხა-ტრობის ნიჭი, არამედ სრულებით სურვილიც არ აქუნდათ, მამა სწავლაზედ ძალას არ ატანდა იმათ, და უცდიდა, რომ თითონ ესურვებინათ, მაგრამკი ვეღარ მოესწრო. ჯერკი დღესარომდის შვილებს სწავლის დრო არ გადასვლიათ. სწორედ ამისთანავე საქმე მოუვიდა მხატვარ იზაბეს, რომელიც მოიცვალა რამდენიმე თჳს წინად. შვილი იმისი ეჟენ-იზაბე, გამოჩენილი კაცია მთელ ქვეყანაზედ, ოც წლამდის არ იღებდა სამხატრო იარაღს ხელშია და უნ-დოდა ანუ სალდათ ან მენავედ ყოფნა. მაგრამ მამამ, რომელმანც დაკარგა ერთი შვილი ომში უარს უბნებოდა ეჟენას და ეტყოდა: გახსოვდეს, შენ ან მხატვრობას ისწავლი, ან ვერას ვერ ისწავლი. რომელზედაც შვილი უპასუხებდა ხოლმე — მე ყველას ვისწავლი, მაგრამ მხატვრობას კი ვერა.

მამა ჯარში შესვლის უარს ეუბნებოდა, ეჟენა კი ყოველთვის ბედნიერ იყო, ამისთვის რომ მამა ჯარის უჭერდა და როდესაც კი სთხოვდა ფულს ყო-ველთვის აძლევდა. შვილს სცხვენოდა, იმდენს რომ აწუხებდა მამას, და ერთხელ რა მოვიდა მამის სამუ-შაო სახლში, დიდ ხანს ჩუმათ ტრიალებდა კამოდთან.

— რა დაგემართა ეჟან? ჰკითხა მამამ.

— მე მინდა.. ცოტა ოდენი ფული, მიუგო შვილმა.

— აქამდის რატო არ სთქვ, აჲ კამოდის გასაღები.

ეჟანამ სიხარულით გამოართვა გასაღები და გააღო კამოდი, მაგრამ ფულის მაგიერათ ერთი დაწერილი ქაღალდი იპოვა, რომელზედაც სავალმწიგნოს ბეჭედი

დასმული იყო.

— ეს რა არის, შესძახა ჟუანამ, ჩემი დაბადების მოწმობა!

— დიახ ეგ არის, წაიკითხე რაც სწერია მაგაში.

— რა უნდა წავიკითხო? მე ოცის წლისა ვარ. ამას რა უყო?»

— ის უნდა ჰქნა, ჩემო მეგობარო, რომ სრული ასაკოვანი ხარ, მე რომელსაც თოთხმეტის წლისა ჯიუტად იმტყუნი შემეძლო, რომ ჩემი თავი მეცხოვრებინა. ახლაკი დრო არის რომ ჰსწავლას ხელი მაჰყო მე ჩაგაცმევ, დაგხურავ და სახლს გიქირავებ, მაგრამ საქეიფო ფულები კი შენ იშოვეო.

— ეგ მე არ შემიძლიან.

— რატომაო.

ამისთვის რომ საქმისათვის ფული უნდა მე ერთი მანეთიც არა მაქვსო.

— მე გასესხებ ორმოცს თუმანს, გესმის თუ არა, გასესხებ. შენ გადმიხდი ვალსა, რასაც წამსვე მიიღებ მარველის შენგან სურათის ფასსა.

ჟუანამ გაიცინა და რა გამოართვა ფული, წავიდა ქალაქ გარეთ ზღვის სანახავად, რომლის ნახვაც დიდ ხანი იყო რაც სურდა. ზღვის ღელვამ და მაში მყოფ გემებმა გააკვირვეს ის. დიდხანს უყურა, მაგრამ ვერ გაძლო მათის ყურებით, მოინდომა რომ ქაღა-ლდზედ გამოეხატნა, იყიდა სამხატრო წამლები, დაიწ-ყო ზღვის ხატვა, ორი დღის შემდეგ დაბრუნდა ქალაქ პარიჟში და თან მოიტანა ორი დახატული სურათი, რომელიცა უნდა ეჩვენებინა მამისათვის რომ

იმას მხატრობის ნიჭი არა ჰქონდა და რომ მეორე ნახაზე აღარ იქნება ისტორიაში დაწერილი.

მამამ მიიღო შჳლი ძალიან ცივად და ჰკითხა:

— რას აკეთებდი ქალაქ გარეთაო?

— თქუენ შესცდით მამავ, მე ვხატამდი... აჲ ჩემი შრომა!

— ავაჰაკო! ეს შენი ტახატულია! დაიძახა, სურათების გასინჯვის შემდეგ.

— აკი გეუბნებოდით, რომ მხატრობის ნიჭი არ მაქვს მეთქი, მიუგო ეგნამ და მწუხარებით დაუშვა თავი. უეცრად იმან გაიგონა მამის ტირილი. რომელიც მივარდა მოეხვია, დაუწყო კოცნა და უთხრა:

— შენ მხატრობის ნიჭი არა გაქვს! არა გაქვს! როგორ არა გაქვს, ჩემზედ უკეთ ხატავ! ჩქარა აიღე სამხატრო კალამი და დაიწყე ხატვა.

ამ დროს შემოვიდნენ სამხატრო სახლში ორნი მხატრობის მოყუარე კაცნი და გაკვირდნენ ეგნას დახატულ სურათებზედ.

თქუენ აქებთ ამ სურათებს, უთხრა ბერკაცმა, მე შემიძლიან ეხლავ გავყიდო ერთი ას თუმნათ და მეორე ორმოცდა ათად.

იმათ მაშინვე მისცეს ფული და ეგნას უნდოდა, რომ ჯიბეში ჩაედო, მაგრამ მამამ უთხრა.

— არ დაგავიწყდეს შენი ვალი.

იქნება ბევრი დედამიწის ზურგს ესრეთ მოყვარნი მხატრობის სურვილი და ჰქონდნენ ყულოსნენი, მაგრამ ისე ბედნიერნი კი ყველა არ იქნებიან, როგორც ეგნა, იმისთვის რომ მამა ყველას გახარდეს იმათის დახატულის სურათის ნახვით.

თ. გ. ჯავახიშვილი.

# სარჩევი.

წარჩინებული სიტყვიერება,—პოეზია: I. ოდა ღჳთისა, (თ. დ. ციცი-შვილისა) 1.—II. გ. ნ. ა. (ივ. კერესელიძისა) 6.—III. თეჯნისი, (თ. ალ. ჭავ-ჭავაძისა) 7.—IV. ქართლოს, (თ. დ. მაჩაბელისა) 4.—V. ბატები, კრილოვით, (დ. მგალობლოვისა) 11.

პროზა: I. რაჲმე მასალისა-თჳს მუსიკისა, (თ. დ. ციცი-შვილისა) 13.—

ჰსწავლა ჴველოვნება: I. სულგრძელობა საქართველოს მეფის ირაკლი II—სა. (ნ. გამ-რეკელოვისა). 13.—II. ჰსჯა, (იმერთ თავადის ირაკლი ლორთქიფანიძისა) 41.—

სხჳა და სხჳა ამბავი: I. ფლორ სილინი. ქეთილის მოქმედი კაცი. (ზალ ხითაროვისა) 47. II. უპირველესი მხატვარი პალედელაროში. )თ. გ. ჯავახის-შვილისა) 49 —

ამა სალიტერატურო ჟურნალის «ცისკრის» მიმღების მსურველთა, შეუძლიანთ ინებონ მოქცევა თხოვნითა რედაქციაში, ქ. ტფილისს; თავადის ალექსანდრე ვახტანგის-ძის ჯამბაკურიან ორბელიანის სახლებში. ფასი თორმეტის წიგნისა ესე იგი: ერთის წლისა ექვსი მანეთი, ხოლო შინ გაგზავნით შვიდი მანეთი თეთრი ფული.